ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის „მედიისა და მასობრივი კომუნიკაციის კვლევების“ სტუდენტის **ნათია ხურცილავას** საკვალიფიკაციო ნაშრომი მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობის მედიური რეპრეზენტაცია: რეფერენცია კონფლიქტის ისტორიაზე

(ერთი ბეჭდური გამოცემის, „საქართველოს რესპუბლიკის“, მაგალითზე, მისი სტატუსისა და სარედაქციო პოლიტიკის ცვლის კვალდაკვალ)

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი **ხათუნა მაისაშვილი,**
აკადემიური დოქტორი მასობრივ კომუნიკაციებში

თბილისი 2019

ანოტაცია

რელევანტური თეორიული წყაროები მიმოხილვით ანალიზსა და ერთი ბეჭდური გამოცემის, „საქართველოს რესპუბლიკის“ 159 პუბლიკაციის კონტენტ-ანალიზზე დაყრდნობით, საკვალიფიკაციო ნაშრომი შეისწავლის და აანალიზებს, რა მოცულობისაა და რა მნიშვნელობას იძენს ხანგრძლივ ისტორიულ პერიოდში (1990 წლიდან 2019 წლამდე) - პოლიტიკური კონტექსტის ცვლილების კვალობაზე - ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების მედია წარმოჩენაში რეფერენცია კონფლიქტის ისტორიულ შემადგენელზე. საკვლევი საკითხი მოიცავს შემდეგ ასპექტებს: თუ როგორ ურთიერთკავშირში და ურთიერთმიმართებაში არიან წარმოდგენილნი ქართველები, აფხაზები და ოსები ისტორიულ დინამიკაში და რამდენად ღრმად მიდის გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ კონფლიქტის ისტორიული საწყისის ძიებისას. ძირითად საკვლევ კითხვებს წარმოადგენს: იკითხება თუ არა მედია ტექსტებში მიმართება წარსულთან, როგორაა წარმოჩენილი დაპირისპირებული მხარეების ისტორიული ურთიერთობა და მედიაში ხილული ისტორიული პერიოდი.

კვლევის ფარგლებში ასევე განვიხილავ, როგორი პოლიტიკა ჰქონდა გაზეთს „საქართველოს რესპუბლიკა“. ასევე მნიშვნელოვანია შევეხოთ მედიის, როგორც ინფორმაციის გამავრცელებლის, კონკრეტული „მესიჯების“ გამგზავნის როლს, იმაზე დაკვირვებით, თუ როგორი შეტყობინებები იგზავნებოდა გაზეთის რედაქციის მხრიდან სეპარატისტულად განწყობილი რეგიონებისა და რუსეთისაკენ, კერძოდ, ჩანს თუ არა მათში მიმართება ისტორიულ წარსულთან.

შინაარსი

1. შესავალი

2. ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული არგუმენტები

3. კვლევის დიზაინი: საკვლევი საკითხი და მეთოდი

4. კვლევის შედეგები და მათი განხილვა

5. დასკვნა

6. გამოყენებული ლიტერატურა

შესავალი

26 წელია საქართველოს ტერიტორიის 20% ოკუპირებულია რუსეთის მიერ. აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორია საქართველოს მთლიანი სხეულისგან სეპარირებულია. 26 წლის მანძილზე ეს საკითხი აქტუალობას არ კარგავს, ის ქვეყნის ნომერ პირველ პრობლემად და სატკივარად განიხილება. ნებისმიერ კონფლიქტში კი მის ისტორიულ საწყისს, თუ რატომ, რის ნიადაგზე წარმოიშვა კონფლიქტი, მნიშვნელოვანი როლი უჭირავს საკითხის შემდგომი გადაჭრისათვის. რაც შეეხება ჩემს საკვლევ საკითხს - „ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების მედიური რეპრეზენტაცია: რეფერენცია კონფლიქტის ისტორიაზე“ ერთი ბეჭდური გამოშვების, „საქართველოს რესპუბლიკის“ მაგალითზე, თუ რატომ ავირჩიე ეს თემა, შემიძლია ვთქვა, რომ ნებისმიერი კონფლიქტის შემთხვევაში მნიშვნელოვანია მედიის მიერ ობიექტურად იქნეს წარმოჩენილი კონფლიქტის ისტორიული საწყისი. ხშირ შემთხვევში სწორედ მედია გვევლინება იმ პლადფორმად, რომელიც საკუთარ თავზე იღებს კონკრეტული შეტყობინებების გაგზავნას წინასწარ განსაზღვრული მიმღებისადმი. ამდენად მნიშვნელოვანია მედია საშუალების სარედაქციო პოლიტიკა, როდის და რატომ იწყებს კონფლიქტის ისტორიულ დისკურსში რეპრეზენტაციას. აღსანიშნავია, რომ ისტორიული მდგენელი ხშირად მტყუან-მართალის წარმოჩენას ემსახურება და აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის საკითხის ისტორიული დისკურსი მედიაში, როგორც წესი რეპრეზენტირდება, როდესაც რაიმე მნიშვნელოვან მოვლენას (ხშირ შემთხვევაში ცუდს) ექნება ადგილი, ან რომელიმე მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტის აღმნიშვნელი დღეა, იქნება ეს 27 სექტემბერი (სოხუმის დაცემის დღე) თუ სხვა. შესაბამისად საკვლევ პერიოდად ავირჩიე 1990-1991 წელი (აღსანიშნავია, რომ გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა სწორედ 1990 წლის დეკემბრიდან გამოდის თავის პირვანდელი (1918 წ.) სახელით) , რადგან ეს არის პერიოდი, როდესაც

კონფლიქტი ქვეყნის ორ რეგიონში ღვივდებოდა, ე.წ. სამხრეთ ოსეთში უკვე მიმდინარეობდა შეიარაღებული მოქმედებები, აქედან გამომდინარე საინტერესოა, თუ როგორაა გაზეთში წარმოჩენილი ისტორიული დისკურსი, როგორ ისტორიულ ურთიერთკავშირში არიან წარმოდგენილნი ქართველები, აფხაზები და ოსები და როგორაა წარმოჩენილი ეს ყოველივე დღეს, 2019 წლის „საქართველოს რესპუბლიკაში“.

კვლევის პირველ ნაწილში „ლიტერატურის მიმოხილვა“ თეორიულ წყაროებს განვიხილავ სხვადასხვა კატეგორიების მიხედვით: ქართველი მკვლევრები კონფლიქტის ისტორიული მდგენელის შესახებ, პირველ რიგში განვიხილე ჟურნალისტის, მასობრივ კომუნიკაციებში აკადემიური დოქტორის, საქართველოში არსებული კონფლიქტების მკვლევრის, ხათუნა მაისაშვილის საკვალიფიკაციო ნაშრომს დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად - „ ეროვნული იდენტობის რეპრეზენტაცია 1990-1991 წლების ქართულ ბეჭდურ მედიაში“ (2010 წელი). სწორედ ამ ნაშრომში პირველად გამოიკვეთა, შეფასდა და გაანალიზდა ეროვნულ-იდენტობითი კომპონენტი, რომელიც ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად იქცა 90-იანი წლების პოლიტიკურ და მედიურ დისკურსში. ნაშრომში კარგად ჩანს, დაპირისპირების პირველიე ნიშნების გამოჩენისას, როგორ იცვლება მედიაში მანამდე არსებული ტერმინები და სახელწოდებები, ისტორიული მნიშვნეობის სახელებით, ანუ შემოდის ისტორიული დისკურსი.

ლიტერატურის მიმოხილვაში ასევე განვიხილავ წიგნს „პაქს ჯორჯიანა“ , ხათუნა მაისაშვილის ავტორობით, თანაავტორებთან პროფესორ მაია გოგოლაძესთან და ლია ტოკლიკიშვილთა ერთად. კვლევა აფხაზეთის თემას ეხება, კერძოდ „აფხაზეთის საკითხი ქართული პრესის დღის წესრიგში“(2002-2010 წლებში). რის შემდეგაც განვიხილავ უცხოელი მკვლევარების პუბლიკაციებს.

1. ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული არგუმენტები

რეფერენცია ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ისტორიულ სათავეებზე 1990-1991 წლების ქართულ ბეჭდურ მედიაში, როცა კონფლიქტი შეიარაღებულ სახეს იძენს

ერთა თუ ეთნოსთა შორის ურთიერთობებში, განსაკუთრებით მათ შორის ურთიერთობების დაძაბვის ან პოლიტიკური ცვლილებების ფაზაში, მათი ურთიერთობების ისტორია სხვადასხვა ხარისხითა და ინტენსივობით ხდება მედია რეპრეზენტაციაში დეტერმინანტი ან ფაქტორი. იმის დასადგენად, თუ რამდენად შორს მიდის 1990-1991 წლების ქართული მედია კონფლიქტის ისტორიული საწყისის ძიებისას, თუ როგორ ურთიერთკავშირში და ურთიერთმიმართებაში არიან წარმოდგენილი ქართველები, აფხაზები და ოსები, როგორც ეროვნული/ეთნიკური ჯგუფები, უპირველეს წყაროდ განვიხილავ ჟურნალისტის, მასობრივ კომუნიკაციებში აკადემიური დოქტორის, საქართველოში არსებული კონფლიქტების მკვლევრის, ხათუნა მაისაშვილის საკვალიფიკაციო ნაშრომს დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად - „ ეროვნული იდენტობის რეპრეზენტაცია 1990-1991 წლების ქართულ ბეჭდურ მედიაში“ (2010 წელი). სწორედ ამ ნაშრომში პირველად გამოიკვეთა, შეფასდა და გაანალიზდა ეროვნულ-იდენტობითი კომპონენტი, რომელიც ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად იქცა 90-იანი წლების პოლიტიკურ და მედიურ დისკურსში. ნაშრომში ავტორის მიერ ფოკუსირებულია იმ სივრცის, ტერიტორიული ერთეულის მედიური რეპრეზენტაციის სპეციფიკური მახასიათებლები, რომელნიც გარკვეული პოლიტიკური მიზეზების გამო სეპარირებული, განდგომილი აღმოჩნდა 1990 -იანი წლების საქართველოს ერთიანი სახელმწიფოსგან. თემაზე ემპირიული მასალა მკვლევარს აღებული აქვს გაზეთებიდან - „კომუნისტი“, „საქართველოს რესპუბლიკა“, „მამული“, „7 დღე“ , „დრონი“.

მიწა, სახელი, იდენტობა - მკვლევარი სწორედ ამ სამი სიმბოლოს ირგვლივ განიხილავს აფხაზებსა და ოსებს, როგორც ეროვნულ იდენტობებს და მათ წარმოჩენას მედიურ ტექსტებში. ხ. მაისაშვილი 1990-1992 წლებში საქართველოს ტერიტორიაზე ორი ეთნო-ნაციონალური და პოლიტიკური კონფლიქტის მსგავსებასა და განმასხვავებელ ფაქტორებს გაჰყოფს. რომლის მიხედვითაც ორივე ავტონომიურ წარმონაქმნში განვითარებული პროცესების დინამიკას საერთო ჰქონდა შემდეგი ასპექტები: საქართველოსგან გამოყოფის მოტივაციის შექმნა, ახალი სტატუსის ძიება, სეპარაციისთვის ორგანიზაციული და ინსტიტუციური სტრუქტურების შექმნა, ორივე შემთხვევაში რუსეთის ფედერაციის მხრიდან „წახალისებული სეპარატიზმი“, შეიარაღებული დაპირისპირება მხარეთა შორის, რომელიც ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საქართველოსგან დე-ფაქტო გამოყოფით დასრულდა. რაც შეეხება განსხვავებას მკვლევარი ორ ფაქტორს - სახელდებასა და მასთან დაკავშირებულ იდენტობას წარმოაჩენს ასახელებს.

მკვლევარის დასკვნით ე.წ. სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის პირველივე ნიშნების გაჩენისთანავე ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ ნელ-ნელა ქრება ქართული პოლიტიკური, კულტურული, სამეცნიერო ელიტის, ჟურნალისტების დისკურსიდან და იწყება მისი ჩანაცვლება ქართული იდენტობის მატარებელ სახელწოდებებით, ესენია : სამაჩაბლო, ცხინვალი, შიდა ქართლი და ა.შ. ამ გარემოებას მკვლევარი ასე განმარტავს - *„ქართული პრესის მიერ „სამხრეთ ოსეთის“ აღმნიშვნელი მრავალი სახელის გამოყენება თავის თავში ატარებს ქართული ეროვნული იდენტობის გამამყარებელ ნიშნებს, ღიად ადასტურებს ამ მიწის ქართულ წარმოშობას. ამ საფუძველზე დაყრდნობით, 1990-1991 წლის ქართული ბეჭდური მედიის კომუნიკაციური სტრატეგიები მიმართულია პატრიოტული მოტივაციის, ამ მიწასთან პატრიოტული მიბმულობის გამყარებისკენ ქართველთა მხრიდან, და ნაციონალისტური მისწრაფებების დაშლისაკენ სამხრეთელ ოსთა მხრიდან. ეს კომუნიკაციური სტრატეგიები მოიცავს შემდეგს: თუკი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორია, არც ხანგრძლივი ისტორიული გამოცდილებით,*

არც კულტურული მემკვიდრეობით, არც სახელმწიფოდ ყოფნის ისტორიით არ არის მიბმული, დაკავშირებული ოსურ ეთნოსთან, ეროვნებასთან, მაშინ პატრიოტული მოტივაცია ამ მიწის მიმართ შეუძლებელია არსებობდეს ოსთა შორის; მაშინ ვერანაირი ქმედება მათი მხრიდან ვერ იქნება განპირობებული პატრიოტული მოტივაციით, კონკრეტულად მიწის ამ მონაკვეთის სიყვარულით, როგორც განსაკუთრებული მიწისა - სამშობლოსი". - ვკითხულობთ ნაშრომში.

აფხაზების შემთხვევაში კი ტერიტორიის სახელდებასთან დაკავშირებული კონფლიქტი არ ჩანს. აფხაზეთი რეპრეზენტირებულია, როგორც ქართულ იდენტობასთან დაკავშირებული მიწა, რომელიც იმავდროულად, აფხაზური იდენტობის საფუძველია. თუმცა მედიაში, ხშირად ჩნდება თავად აფხაზთა წარმომავლობისა და მათი იდენტობის შესახებ პუბლიკაციები, როლებშიც აფხაზეთის მოსახელობის ნაწილი მოხსენიებულია, როგორც აფსუები, რომლებიც აფხაზეთის მიწაზე მე-17 საუკუნეში ჩამოსახლდნენ. მკველვარი აღნიშნავს, რომ აფხაზური და ქართული იდენტობები ისტორიულ დისკურსში წარმოჩენილნი არიან, როგორც იგივეობრივი, ხოლო თანამედროვეში, როგორც დაპირისპირებული. რაც შეეხება სარედაქციო პოლიტიკას, ხ. მაისაშვილი განმარტავს, რომ სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში რეპრეზენტირებული მასალის მიხედვით მედია ირჩევს ცოდნის მწარმოებლის და გამავრცელებლის პოზიციას. კერძოდ, ამ მედიურ ცოდნაში, მკვლევარის აზრით, პრევალირებს ისტორიული დისკურსი, „ნამდვილი" ისტორიის წარმოჩენის პრეტენზია, რომელიც გმობს საბჭოთა ეროვნულ პოლიტიკას, ამ პერიოდში ქართველთა საკუთარ ქვეყანაშივე დისკრიმინაცია, ისტორიული უსამართლობა. მოსკოვი მოხსენიებულია „ცენტრად", „მეტროპოლიად" , რაც რუსეთის მიმართ საქართველოს კოლონიურ მდგომარეობასთან მიმართებით გამოიყენება.

ქართული ბეჭდური მედიის მიერ, ყველა ზემოთ ხსენებული შეტყობინებების (რეპრეზენტირებული მასალის) პოტენციური მიმღების რანჟირება განუსაზღვრელია. ამგვარ კომუნიკაციას კი მკვლევარი „მედიის ძალაუფლების დომინანტურ,

კვაზიპლურალისტურ მოდელად“ მიიჩნევს და თან ურთავს მის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს:

„ ა) კომუნიკაციური პროცესი მკვეთრად ასიმეტრიულია და კვაზიინტერაქციულობით ხასიათდება;

ბ) შეტყობინების წყარო უპირატესად მმართველი პოლიტიკური ძალა ან დომინანტური ელიტაა;

გ) მედიაციური ტაქტიკა შერჩევითია, კომუნიკაცია ხორციელდება ჩამოყალიბებული წესრიგის განმტკიცების მიზნით; აქედან გამომდინარე - სახელისუფლებო ელიტის, არასახელისუფლებო ელიტისა და ჟურნალისტის დისკურსი ერთგვაროვნების მაღალი ხარისხით გამოირჩევა;

დ) შეტყობინების მიმღებად იგულისხმება კოგნიტურ წინასწარგანწყობაზე ორიენტირებული, მასზე დამოკიდებული, ორგანიზებული, ეთნიკურად ჰომოგენიზებული ერთობა;

ე) მედიაშეტყობინების მეტატექსტი იმპერატიული ან დეკლარაციულია“.

სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან დაკავშირებული ინფორმაციის, შთაბეჭდილებების, ისტორიების, თვალსაზრისების ამგვარი ინტერპრეტაციით მიწოდება აუდიტორიისათვის, როგორც მკვლევარი ამბობს, განპირობებულია პროპაგანდისტული მოტივებით.

აღსანიშნავია ასევე, ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორც ავტორი აღნიშნავს : *„ემპირიული მასალის ანალიზისათვის აუცილებლად მივიჩნევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი გარემოების აღნიშვნას: სეპარატისტული პროცესების განვითარების კვალდაკვალ თბილისში გამომავალი გაზეთები კარგავენ ნაციონალურ მასშტაბს. ჯერჯერობით, 1990-1991 წლებში, მათ გავრცელებას ფიზიკური წინააღმდეგობა არ ექმნება სეპარატისტული განწყობებით მოცულ რეგიონებში, მაგრამ ცენტრალური გაზეთები ადგილობრივი მკითხველის დიდი ნაწილისთვის აღარ წარმოადგენენ სოციალურად მოთხოვნად, მათი იდენტობის შექმნისათვის საჭირო, იდენტობის*

გამამყარებელ პროდუქტს. ოსი და აფხაზი ეროვნების მოქალაქეები იკვრებიან ოსურ და აფხაზურ (ხშირ შემთხვევაში -რუსულ) ენებზე გამომავალი ადგილობრივი გამოცემების - როგორც მათი ინტერესებისა და პოზიციების გამომხატველი მედიუმის ირგვლივ. მათ ეროვნულ იდენტობას რეგიონულ დონეზე, მათ მშობლიურ ენაზე გამომავალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ქმნიან და ამყარებენ. ეს ტენდენცია კიდევ ერთი გამოხატულება იყო ქართული ენის საჭიროების უარყოფისა, როგორც ქართული ეროვნული სივრციდან, დისკურსიდან დეზინტეგრაციის უტყუარი ნიშნისა“ (ხ.მ).

ჩემი აზრით, ქართული ბეჭდური მედიით გაგზავნილი „შეტყობინებები“ , მთელი ეს ნარატივი, რომელთა ადრესატებიც მეტწილად სწორედ აფხაზები და ოსები იყვნენ, იყო მცდელობა, სეპარატისტულად განწყობილ ეთნიკურ უმცირესობებში გამოეღვიძებინათ საუკუნეების მანძილზე თანაცხოვრების შედეგად არსებული ურთიერთპატივისცემა, მადლიერება (ოსების მხრიდან ქართველთა მიმართ) და ამის საფუძველზე თანაგრძნობა და თანადგომა, როგორც ერთი უღლის ქვეშ მყოფი, ისტორიულად დაკავშირებული ხალხებისა, რომელთაც ერთად უნდა იცხოვრონ დამოუკიდებელ საქართველოში. თუმცა ქართული მედია საშუალებების ისტორიული დისკურსი აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში უძლური აღმოჩნდა წლების მანძილზე მყარად ფესვგადგმული რუსული ნარატივის წინააღმდეგ.

90-იანი წლების ქართულ ბეჭდურ მედიაში მკაფიოდ არის გამოკვეთილი რეფერენციები კონფლიქტის ისტორიაზე - როგორც რუსეთის მიერ წაქეზებული კვაზი სახელმწიფოებრიობაზე, „კეთილი, დიდსულოვანი მასპინძლისა და უმადური სტუმრის“ პარადიგმაზე.

რეფერენციები კონფლიქტის საწყისსა და ისტორიაზე კონფლიქტის „გრილ“ ფაზაში. Pax Georgiana, ანუ ქართული მშვიდობა

2015 წელს ქვეყნდება წიგნი „Pax Georgiana“ ხათუნა მაისაშვილის ავტორობით, ამჯერად თანაავტორებთან პროფესორ მაია გოგოლაძესთან და ლია

ტოკლიკიშვილთა ერთად. კვლევა აფხაზეთის თემას ეხება, კერძოდ „აფხაზეთის საკითხი ქართული პრესის დღის წესრიგში“. საკვლევ პერიოდს 2002-20010 წლები, ხოლო წყაროს ყოველდღიური გაზეთები „რეზონანსი“ და „24 საათი“ და ყოველკვირეული გაზეთები „კვირის პალიტრა“ და „ახალი 7 დღე“ წარმოადგენს. როგორც ხათუნა მაისაშვილი შესავალშივე განმარტავს ქართულ-აფხაზური კონფლიქტი განგრძობად კონფლიქტთა ტიპს მიეკუთვნება და მნიშნელოვანია ის ფაქტორი, რომ განგრძობითი კონფლიქტისას, დროთა განმავლობაში თავად კონფლიქტი იცვლის მიმდინარეობის ბუნებას, ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ „გრილდება“, ან პერიოდულად „ცხელდება“, იკარგება კონფლიქტისთვის დამახასიათებელი თავდაპირველი ნიშან-თვისებები. დომინანტური პოლიტიკური დისკურსის გავლენით მნიშვნელობას იცვლიან ის ღირებულებები, რომლებმაც თავის დროზე კონფლიქტი გამოიწვიეს, იფანტება კონფლიქტის გადმოცემის, რეპორტირების ადგილი და საომარი თეატრი ადგილს უთმობს სხვადასხვა დეიქტიკურ ცენტრებს. ამ დროს ვერ ხერხდება მხარეთა პოზიციების თანაზომიერად წარმოჩენა, რადგან მხარეთა საკომუნიკაციო ველი იმდენად სცილდება ერთმანეთს, რომ ისინი გადაუკვეთავ სიბრტყეებად იქცევიან“.

ჩემი აზრით, ზემოთ მოყვანილი ციტატა თავისი შინაარსით უმნიშვნელოვანესია, როდესაც მედიაში კონფლიქტის საწყისის ისტორიულ დისკურსზე ვფოკუსირებთ. და ის ფაქტი, რომ დროთა განმავლობაში აფხაზეთის ტერიტორიაზე მომხდარი კონფლიქტის საწყისი, მისი გამომწვევი მნიშვნელოვანი ასპექტები მედიურ ტექსტებში იფარება და იშლება, ყურადღებას აუცილებლად მოითხოვს.

წიგნში „Pax Georgiana“ კონკრეტულ თავში - ეთნოსი, ერი თუ დაქსაქსული თემების სიმრავლე? ქვეთავი-ტერიტორია, - განხილულია „რეზონანსსა“ და „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნებული პუბლიკაციები, რომლებიც აფხაზეთის ტერიტორიაზე წამოჭრილი კონფლიქტის ისტორიაზე მოგვითხრობენ. შესწავლილ მედიურ ტექსტებში აფხაზეთის ტერიტორია უნიკალურ ფენომენადაა გამოყოფილი,

რომელთანაც მიბმულობა, როგორც სამშობლოსთან, ერთდროულად ორ ერს (ან - ერს და ეთნოსს), ქართველებსა და აფხაზებს გააჩნიათ. წიგნში ისტორიული დისკურსის მატარებელ წერილებზე (ინტერვიუებზე, საავტორო სტატიებზე და სხვა) დაყრდნობით, გამოყოფილია იმ ასპექტები, რომელიც მიანიშნებს, ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დამდეგისთვის რუსეთის პოლიტიკის გავლენას აფხაზების ეროვნულ თვითცნობიერებაზე.

„სწორედ რუსეთის მიერ ამიერკავკასიაში გატარებული ეროვნული პოლიტიკის წყალობით, აფხაზეთში ჩამოყალიბდა გენეტიკურად დაკავშირებული ადამიანების კოლექტივის თვითცნობიერება, რომელიც ესწრაფვოდა, გამხდარიყო ცალკე ერი სხვა აღიარებულ ერებს შორის და ეს „ეროვნულობა“ შეევსო ერის ცნებისთვის აუცილებელი ატრიბუტებით: ტერიტორიით, უნიკალური ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობით და, ბოლოს, სახელმწიფოთი. ამ მისწრაფების რეალიზაციის მცდელობები მოგვიანებით, მე-20 საუკუნის დასასრულს დაიწყო, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ.“- ვკითხულობთ წიგნში.

ეს ფაქტი, ცალსახად მიუთითებს, რუსული პოლიტიკის მიზანმიმართულ, წინასწარ დაგეგმილ და გათვლილ ნაბიჯებზე, მისთვის სასურველი შედეგის მისაღებად (ჩემი).

მკვლევარი აღნიშნავს, რომ 1990 -იანი წლების ქართულ ბეჭდურ მედიაში ქართველი და აფხაზი იგივეობრივ იდენტობადაა წარმოჩენილი, რომლებიც ჯერ ცარისტული, შემდეგ კი საბჭოთა რუსეთის პოლიტიკის გავლენით (და მე-17 - მე-18 საუკუნეებში აფხაზეთში „ადიღეური ტომის აფსუების“ ჩამოსახლების შემდეგ-ხ.მ) იქცნენ მეტოქეობრივ ან მტრულ იდენტობებად. რუსული პოლიტიკის ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილი პოლიტიკის შედეგს ჩვენ უკვე 2002-2005 წლების მედიურ ტექსტებში ვხედავთ . მკვლევარი მიუთითებს, რომ :

„2002-2005 წლებში გამოქვეყნებულ მედიურ მასალებში ცხადად იკვეთება კონფლიქტი აფხაზეთის მიწისა და ზედ მცხოვრები ადამიანების მიმართ დამოკიდებულებაში როგორც ქართული, ისე აფხაზური მხრიდან. მაგალითად:

„ქართველები აფხაზებთან საომრად კი არა, აფხაზეთში საომრად მიდიოდნენ“ („რეზონანსი“, 2002 წელი, 14 აგვისტო), ან : „დაე ნურავის შეექმნება ილუზია გალის რაიონისადმი აფხაზეთის ხელმძღვანელობისა და ხალხის დამოკიდებულების გამო. ეს- ძირძველი აფხაზური ტერიტორიაა და აფხაზეთის ხელისუფლების ყურადღება ამ რაიონის მიმართ არასდროს მოდუნდება“ („კვირის პალიტრა“, „აპსნიპრესზე“ დაყრდნობით), ან : „აფხაზეთში აფხაზებისგან ნაკრძალი შევქმენით“ („რეზონანსი“. 2003 წელი, 10 ოქტომბერი), ან : „ჩემი ფეხი აფხაზეთში, ჩემს მიწაშია დამარხული“ („რეზონანსი“ 2008 წელი, 15 ივლისი). (ხ.მ 2015).

რაც შეეხება ზემოთ მოყვანილი ფრაზების ქვეტექსტებს, როგორც მკვლევარი განმარტავს, პირველ მაგალითში საკვანძო შეტყობინება აფხაზეთის მიწაა, რომლისთვისაც ქართველი თავს სწირავს და რომელიც თუნდაც ადმინისტრაციულად მოსწყდეს სახელმწიფოს იურისდიქციას, „წარმოსახვითი“ სამშობლოს წიაღში მაინც დარჩება -განმარტავს მკვლევარი და ამ ფაქტორს „საინგილოს“ შემთხვევას ადარებს. მეორე ციტატა, რომელიც აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტს სერგეი ბაღაფშს ეკუთვნის, მკვლევარი მის ქვეტექსტში კითხულობს კონფლიქტის ორ შრეს: ბაღაფშის ლეგიტიმურობის დაბალ ხარისხს გალში და გალის მიწას და მისი მოსახლეობის გაიგივების პრობლემები, როგორც ორი „ძირძველი აფხაზის“ ფენომენისა. *„მესამე მაგალითი პოლიტიკური ხასიათის შეტყობინებაა, იგი ასახავს ერთი ეთნოსის წარმომადგენლების გაუმართლებელ პოლიტიკურ პრიორიტეტებს მიწაზე, რომელიც ამ ეთნოსსაც ისევე ეკუთვნის, როგორც ქართველს, რომლის ნებითა და თანხმობით ეს „აპარტეიდული ნაკრძალი“ შეიქმნა (აქტანტი, სუბიექტი - ქართველია, მიმღები და ობიექტი -აფხაზი)“ (Pax Georgiana,, გვ. 67).* რაც შეეხება მეოთხე მაგალითს, სიტყვები მებრძოლის მონოლოგიდან არის აღებული და აფხაზეთის მიწა „სამშობლოს“ საკრალური გაგებითაა წარმოდგენილი. კონკრეტულ ნიმუშს ავტორი განმარტავს ციტატით - *„ რომელი მიწიდანაც შეიქმენ - იმავე მიწაში ემარხო“.*

მედიურ ტექსტებში ქართველისა და აფხაზის ურთიერთმიმართებასა და მათ

სახელდებასთან დაკავშირებით წიგნში ვკითხულობთ: *„ტერიტორიისა და ზედ მაცხოვრებელი ხალხის იდენტობით კონფლიქტში მნიშვნელობას იძენს ხალხის ერთობის სახელდება, როგორც მისი კატეგორიზაცია ეროვნული იარლიყით და სახელდების უნიკალური კოდით, ანუ აფხაზთა ან ქართველთა „ჩვენ“ მხოლოდ „ჩვენს“ კი არ უნდა ნიშნავდეს, არამედ უნივერსალურ ეროვნულ ნიშანს „აფხაზსა“ და „ქართველს“, რომელთა სახელის გავლენით იქმნება მათი ტერიტორიების სახელებიც: აფხაზეთი, აფხაზთა სამშობლო და საქართველო -ქართველთა სამშობლო. სწორედ ამიტომ, კონფლიქტის დასაწყისშივე ქართული პოლიტიკური ელიტისა და ინტელიგენციის ნაწილი ძალიან დაინტერესებული იყო აფხაზების „აფსუებად“ სახელდებით, სიგნიფიკაციით, რადგანაც ეს ენობრივი ნიშანი კონოტაციურად უკვე ნიშნავდა უცხოს და ამ მიწასთან ემოციურად მიუბმელს. დღეს არსებული ვითარების მედიაციისას სახელდებასთან დაკავშირებული კონფლიქტი აღარ იკვეთება, წინა პლანზე გამოდის ამ განცდის აქცენტირება, რომელსაც ქართველიცა და აფხაზიც უნდა იზიარებდნენ: მათი ტერიტორიის ოკუპირებული სტატუსი რუსეთის მიერ, რაც აფხაზეთის, როგორც დამოუკიდებლობის მსურველი სახელმწიფოს სრულ კრახად განიხილება“ (Pax Georgiana: 67, 68)*

ტერიტორიის შემდეგ, ქვეთავად განხილულია დამახასიათებელი კულტურა, ენა და საერთო ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში რელიგია. რომლის მიხედვითაც, მედიური ტექსტების შინაარსიდან გამომდინარე აფხაზეთში ქართული კულტურის კვალი მიზანმიმართულად იშლება, რაც საერთო ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დამადასტურებელი ქრისტიანული ძეგლების ხელყოფითაა განპირობებული. ის ფაქტი, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული უნიკალური ძეგლები რესტავრაციას საჭიროებენ და რესტავრაციის საფუძველზე გარეგნულად უფრო გვიანდელი პერიოდის რუსული საეკლესიო არქიტექტურის ნიმუშებს ემსგავსება, რაც განპირობებულია აფხაზი მღვდელმსახურების უმრავლესობის, ე.წ. „ახალი ათონის ფრთის“ გავლენით რუსული ეკლესიისკენ ნაწილად ქცევის სურვილით. „ეს მედიური ნიმუშები, რომლებიც ერთი შეხედვით, ტიპურ

სეპარატისტულ პროცესებს ასახავს , სინამდვილეში ძალიან დიდ საფრთხეზე მიუთითებს აფხაზური ეთნოსისთვის: დამახასიათებელი კულტურის, ისტორიული მემკვიდრეობისა და მეხსიერების უარყოფით საფუძველი ეცლება მითს საერთო წარმოშობის შესახებ, რაც ეთნოსის ერთ-ერთი უმთავრესი შემაკავშირებელი ფაქტორია(საერთო გააზრებულ მითს სხვადასხვა დაქსაქსული, ანუ გაუზიარებელი ვერსიები ანაცვლებს)“ (Pax Georgiana: 68)

ქვეთავში მოკავშირეობა და კონფლიქტის (70) ვკითხულობთ : *1) მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი აფხაზეთის ისტორიაში ყველაზე დიდი დამპყრობელია, მაინც რუსეთის იმპერიის ეროვნულმა პოლიტიკამ ჩამოუყალიბა ჩრდილოკავკასიელ ხალხებს (მათ შორის აფხაზებს) სწრაფვა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისკენ; 2) რუსული ენა, როგორც უფრო მაღალი კულტურის მქონე ერის ენა, როგორც გაბატონებული კლასის, ელიტის დისკურსის გამომხატველი, აფხაზებისთვის გრავიტაციულ ცენტრად („ბედნიერების საკუთარ შინაგან ცენტრად“- მაძინისა და ჰერდერისეული კონოტაცია ენისა, ციტირებული ენტონი სმიტის მიერ (1981: 45)) იქცა“.*

რაც შეეხება კონფლიქტს, მედიურ ნიმუშებში იგი მხოლოდ საქართველოსთან და ქართველებთან არის გამოხატული ურთიერთობის, იდენტობის ყველა დონეზე. მკვლევარების მიერ განხილული პერიოდის ყველა შეტყობინება ადასტურებს, რომ აფხაზებისთვის მიუღებელია როგორც ქართველებთან სამოქალაქო იდენტობა, ასევე საერთო კულტურის, წარსულის, ისტორიის განცდა. როგორც წიგნში ვკითხულობთ, მედია გადმოსცემს მრავლობით შეტყობინებას იმისა შესახებ, რომ აფხაზეთში „ახალი, ნამდვილი, ოფიციალური ისტორია“ იწერება- რასაკვირველია ქართველების გარეშე და ქართველების გვერდის ავლით. *„ ...აფხაზური ნაციონალიზმი ,* XIX *საუკუნეში გაჩენილი, ევროპული და* XX *საუკუნის დამლევს ქართული ნაციონალიზმების მსგავსად, თემურობის პრინციპით ხელმძღვანელობს: თხზავს ერის ისტორიას, რომელიც „თავისი შინაარსობრივი სტრუქტურით არაფრით განსხვავდება პირველყოფილი და არქაული თემების მითებისგან“ (გიორგი*

მაისურაძე, „ჩაკეტილი საზოგადოება და მისი დარაჯები“, 2011)“. (გვ: 72, „Pax Georgiana“)

„Pax Georgianaში“ ცალკე თავად გამოყოფილია „გალის დრამა, ანუ მარადიული მძევლები“. როგორც წიგნშია მოცემული მედიასისტემაში *„გალი“ პოლიტიკურად დამუხტული დრამის ადგილია“ (მაისაშვილი: 77).* რაც შეეხება ქართულ მედიურ შეტყობინებებში გალს, როგორც მისი ქართულობის დადასტურება, მოხსენიებულია მისი ისტორიული სახელწოდებით - „სამურზაყანო“. მაგ: *„სამურზაყანოში ქართველებზე ნადირობა გრძელდება“ (მაისაშვილი: 78). „ ...აფხაზების მხრიდან გალელების მიმართ განხორციელებულ ქმედებას სისხლიანი სახელი „ნადირობა“ ეწოდება, ხოლო სიტყვა „ გრძელდება“ ძალადობის უწყვეტ ბუნებაზე მიანიშნებს; ან სიტყვა „ხარკი“ თავისთავად ხდის ნათელს, რის საფასურად ინარჩუნებენ გალელი ქართველები თავიანთ სახლებში ცხოვრების უფლებას). კონოტაციურად ეს არის დისკრიმინაციისა და მოძალადე-მსხვერპლის ურთიერთობის, უუცხოობის, „აფხაზთათვის საშიშობის“ აღმნიშვნელების უწყვეტი ჯაჭვი. ამ აღმნიშვნელების განმეორებადობა და გამოყენების სიხშირე ზრდის დრამის ეფექტს და ამყარებს რამდენიმე დამკვიდრებულ შეხედულებას: ა) შეხედულებას გალზე, როგორც „ძალიან ზუსტ შეცდომაზე“ , რომელიც ქართველებმა და აფხაზებმა ერთად დაუშვეს: „საქართველოსთვის გალი საქართველოა, მარამ რატომღაც აფხაზეთის შემადგენლობაში; აფხაზებისთვისაც გალი საქართველოა, მაგრამ რატომღაც აფხაზეთის შემადგენლობაში“; ბ) ამყარებს მოსაზრებას, რომ აფხაზეთის ხელისუფლებას გალში სამოქმედოდ მხოლოდ ერთი ალტერნატივა აქვს : ან „შეეგუოს“ გალის „ქართულობას“, ან ძალით მოერიოს მას“. (იქვე)*

ასევე საინტერესოა გალთან მიმართებაში უშუალოდ რეპორტირებასთან დაკავშირებული საკითხები, ადგილის სპეციფიკა და ადამიანების ისტორიები ამ ადგილზე. ამასთან დაკავშირებით წიგნში ვკითხულობთ, რომ როდესაც გალიდან გადმოსცემენ რაიმეს, ეს უკვე ქმნის გარკვეულ მოლოდინს, ამ ინფორმაციებში რეპორტირებული ფაქტებისა და მოვლენების ბუნების შესახებ, რაც შეეხება

ისტორიებს, მასში ყოველთვის მითითებულია წყარო, ეყრდნობა თვითმხილველების ნაამბობს, ცნობილია მონაწილეთა ვინაობა, დრო და ისეთი დეტალები, რომლებიც ადასტურებს, რომ *„ინფორმაცია მიზანმიმართულად, „საინფორმაციო ბადის“ (თაჩმენი, 1978) გამოყენებით იქნა მოპოვებული“. (მაისაშვილი, 2015: 81, „Pax Georgiana“)* . მედია მონოპოლიურად აყალიბებს „გალის წარმოჩენის დღის წესრიგს“, რაც კვლევის შედეგად ასე წარმოჩინდა: *„გალის მოქცევა „შიდა“ ქართულ სივრცეში; ყველა ფაქტის პოლიტიკური განპირობებულობა; ფაქტების ხდომილების მოტივაცია, როგორც წინასწარგანზრახულის; ფაქტების დახასიათება, როგორც ტრაგედიის; ემოციური საკვანძო სიტყვის შემოტანა ნეიტრალურ ინფორმაციულ ტონალობაში; გალის, როგორც მედიასისტემის თემის, შენარჩუნების აუცილებლობა“. (გვ: 81“Pax Georgiana“).*

წიგნში „Pax“ წარმოდგენილი კვლევის მეთოდის აღწერის და სტატისტიკური პროცედურების შედეგების მიხედვით, საკვლევ პოპულაციას ყოველდღიური გაზეთი „რეზონანსი“ და ყოველკვირეული გაზეთი „კვირის პალიტრა“ (ნაერთი შინაარსი) წარმოადგენს. რაც შეეხება დროით ჩარჩოს 2002 წლის იანვრიდან 2010 წლის დეკემბრამდეა აღებული. საკვლევ ტექნიკას კი კონტენტ-ანალიზი და ფაქტორული ანალიზი წარმოადგენს. (გვ.176)

„Pax Georgianaში“ წარმოებული კვლევის მიხედვით პუბლიკაციების ჟანრებისა და შინაარსში ჩემი კვლევისთვის საინტერესო, ისტორიული ფაქტორი დაფიქსირდა რეპრეზენტაციის შემდეგ თემატურ-ვალენტობით ჩარჩოებში :

“1. კოდორის ხეობა საფრთხის წინაშე - მისი პროექცია აფხაზეთზე;

2. აფხაზეთი- საქართველოს ერთ-ერთი რეგიონული პრობლემა;

3. პანკისის ხეობაში მიმდინარე პროცესების პროექცია აფხაზეთზე/საფრთხის პროპორციულობა;

4. „აჭარული“ პოლიტიკა, როგორც „აფხაზური“ პოლიტიკის ფაქტორი;

5. რუსეთის ფაქტორი აფხაზეთში/პირდაპირი აგრესია, ფარული აგრესია, რუსიფიკაცია;

6. ჩრდილოკავკასიური იდენტობითი სოლიდარობის ფაქტორი აფხაზეთში;

7. აშშ-ის, ევროკავშირის, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ჩართვის აუცილებლობა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებაში

8. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ეროვნულ-იდენტობითი ფესვები;

9. აფხაზეთის მიწა და აფხაზი /იდენტობითი კონფლიქტი;

10. რუსული და თურქული ინვესტიციები აფხაზეთში;

11.რელიგიური სეპარატიზმი/რუსული ეკლესიისა და აფხაზეთის თვითმარქვია ეკლესიის აგრესია საქართველოს ეკლეიის აფხაზეთზე გავლენის წინააღმდეგ;

12. დაძაბული/უმართავი კრიმინალური ვითარება აფხაზეტში;

13. აფხაზეთის მზადება ომისთვის. პრეტენზიები ფოთის აკვატორიაზე;

14. პარტიზანები, როგორც ერთადერთი ქმედითი და მოტივირებული ძალა აფხაზეთი დასაბრუნებლად;

15. სოციალური დაძაბულობა გალში ეთნიკურ ნიადაგზე;

16. რუსულ პრესაში ასახული დამოუკიდებელი აფხაზეთი;

17. იძულებითი პასპორტიზაცია და აფხაზურ ჯარში გაწვევა როგორც გალელების კიდევ ერთი დევნილობის საბაბი;

18. სოციალური დაძაბულობა გალში ეთნიკურ ნიადაგზე;

19. გალის საკითხი აფხაზურ პოლიტიკაში;

20. რელიგიური სეპარატიზმი;

21. ქართული კვალის მთლიანად წაშლა აფხაზეთში;

22. გალი აფხაზებისთვის: აქა ქართული, არამედ მეგრული ანკლავი;

23. ჩრდილოკავკასიური ფაქტორი/დახმარება აფხაზების დასაცავად ქართული აგრესიისგან;

24. ოკუპაცია და ურთიერთობების რადიკალურად შეცვლა/კონფლიქტის გაყინვა;

25. რა აირჩიეს აფხაზებმა“ დამოუკიდებლობა თუ უსაფრთხება?

26. არის თუ არა ბარაფში ეთნიკური აფხაზების პრეზიდენტი;

27. რუსეთის გეგმა: აფხაზეთის და სამხ. ოსეთის კონფედერაცია;

28. ეთნიკური აფხაზები - მოსახლეობის უმცირესობა (რეპატრიაციისა და ჩრდილოკავკასიელების ჩამოსახლების ჩაშლილი პროექტი).“

კონფლიქტის ისტორიული კონტექსტი უცხოელი მკვლევარების ნაშრომებში

სამეცნიერო სტატიები, რომელთა ავტორები უცხოელი მკვლევრები არიან, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების ამა თუ იმ ასპექტების კვლევისას აუცილებელ კომპონენტად განიხილავენ კონფლიქტების ისტორიულ კონტექსტს, რომელიც, მათი აზრით, განსაზღვრულ წინაპირობას ქმნის დღევანდელი სიტუაციის აღწერისას. თავისთავადია, რომ მკვლევარების ნაშრომებსა თუ სტატიებში რუსეთის ფაქტორი, მისი ჩართულობა უპირობოდ იკვეთება. ამ შემთხვევაში ისტორიული კონტექსტი შემოიფარგლება მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან, ანუ უახლესი ისტორიით, როცა დაძაბულობამ რეალური და სამხედრო-ფიზიკური დაპირისპირების სახე მიიღო. მაგ., ავტორი ჩარლზ კინგი სტატიაში The Five-Day War: Managing Moscow After the Georgia Crisis (Source: Foreign Affairs, Vol. 87, No. 6 (November/December 2008), pp. 2-11) ცალკე თავად გამოჰყოფს „სამხრეთელი ოსები“, სადაც ის წერს: „სამხრეთ ოსეთი ზომით როდ აილენდის ზომისაა, მსი მოსახლეობა 70 000-ზე ნაკლებია. საბჭოთა ეპოქაში, იგი სარგებლობდა ავტონომიური სტატუსით საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში. როგორც კი საქართველო მოსკოვს გამოეყო და 1991 წელს დამოუკიდებლობა გამოაცხადა, სამხრეთ ოსეთელმა ლიდერებმა გადაწყვიტეს, თავადაც მიეღწიათ თბილისისგან დამოუკიდებლობისთვის. 1991 წელს და 1992 წლის დამდეგს ქართველმა სამხედროებმა დაიწყეს ინტენსიური მოქმედებები სამხრეთ ოსეთელების სეცესიონისტური მოძრაობის წინააღდეგ. [....] უკვე უკვე ბოლო თხუთმეტი (სტატია დაწერილია 2008 წელს- ნ. ხ.) წელიწადია, ორივე რეგიონი (სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი - ნ. ხ.) ფუნქციურად გამოყოფილია საქართველოსგან საკუთარი პარლამენტებით, ეკონომიკით, საგანმანათლებლო სისტემებით, არმიებით და

საკმაოდ ძლიერი (გავლენიანი) ნარატივით ქართული ტირანიის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლით.“ აქ ისტორიული კონტექსტი კმაყოფილდება მხოლოდ ქრონიკალური ინფორმაციით, ისტორიულ დოკუმენტებში ყოველგვარი წიაღსვლების და ავტონომიის შექმნის მიზანშეწონილობის აღწერის გარეშე.

ისტორიაში უფრო ღრმად მიდის მკვლევარი ტრეისი გერმანი (Abkhazia and South Ossetia: Collision of Georgian and Russian Interests Tracey German, 2006), რომელიც თავის სტატიაში ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ურთიერთობებს მეოცე საუკუნის 20-იან წლებამდე მიჰყვება და ცენტრალური ხელისუფლების დამოკიდებულებას ავტონომიური წარმონაქმნების მიმართ უშუალოდ საქართველოს კონკრეტული პოლიტიკური ლიდერების ხედვებიდან და პოლიტიკური მიზანდასახულობიდან გამომდინარე განიხილავს: *„1920-იანების განმავლობაში რესპუბლიკას (აფხაზეთი) ჰქონდა დე ფაქტო დამოუკიდებლობა, სანამ სტალინი შემოუერთებდა მას საქართველოს და ეთნიკურ ქართველებს რეგიონში მიგრირებისკენ მოუწოდებდა. შედეგად, 1989 წლისთვის თუ აფხაზები შეადგენდნენ მოსახლეობის მხოლოდ 18%-ს, ეთნიკური ქართველების წილი 46% იყო. ეს მაშინ, როდესაც სხვა რეგიონებში, უმრავლესობას ის ეთნიკური ჯგუფები წარმოადგენდნენ, რომლებიც დამოუკიდებლობისკენ ისწრაფვოდნენ. გამსახურდიამ აფხაზეთთან მოსალაპარაკებლად უფრო დიპლომატიური სვლა გააკეთა, ვიდრე სამხრეთ ოსეთის შემთხვევაში და თავიდან აიცილა სრულმასშტაბიანი ომი. მიუხედავად ამისა, მისი მემკვიდრე შევარდნაძე უფრო რადიკალური იყო და, ვინაიდან, ორივე მხარემ უარყო კომპრომისზე წასვლის იდეა, ომი 1992 წელს დაიწყო. 1993 წლის ბოლოს ქართული სამხედრო ძალები დამარცხდნენ და 1994 წლის მოსკოვის შეთანხმებით ცეცხლი შეწყდა. ამავე ხელშეკრულების მიხედვით დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალები (რომელშიც, დაახლოებით, 1700 რუსი მშვიდობისმყოფელი შედიოდა) საქართველოში გაეროს სადამკვირვებლო მისიის დახმარებით დააკვირდებოდა შეთანხმების პირობების*

დაცვას.

თითოეულ რეგიონთან დაკავშირებით გასული წლების განმავლობაში მცირე პროგრესი შეინიშნება პოლიტიკური ჩიხიდან თავის დასაღწევად. 2005 წლის სექტემბერში სამხრეთ ოსეთმა „დამოუკიდებლობის“ 15 წლისთავი აღნიშნა საბჭოთა სტილის სამხედრო პარადით, რომელსაც აფხაზეთისა და რუსეთის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ამ სეპარატისტული ტერიტორიების გავლენა საქართველოში მნიშვნელოვანია. გარდა იმისა, რომ ათასობით ეთნიკური ქართველი, რომლებიც იმ რეგიონებში ცხოვრობდნენ, დევნილებად იქცნენ, თბილისმა დაკარგა ქვეყნის გარკვეულ ნაწილში ხელისუფლებისა და გადასახადების აკრეფის საშუალება და ასევე მნიშვნელოვანი სავაჭრო გზების გამოყენების უნარი. უფრო მეტიც, ათასობით რუსი მშვიდობისმყოფელის ყოფნა, რაც არ მიიჩნევა სამართლებრივად გამართლებულად, ამწვავებს ურთიერთობას თბილისს, მოსკოვსა და რეგიონულ ლიდერებს შორის“.

ტრეისი გერმანი თავის სტატიაში საუბრობს სწორედ რუსეთის კვალზე საქართველოში სეპარატისტული რეგიონების არსებობაში და აღნიშნავს, რომ მულტიეთნიკური საქართველოს სტაბილურობისთვის სეპარატისტული რეგიონები უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს, იმდენად რამდენადაც მათ მხარს სწორედ რუსეთი უჭერს. *„ჩრდილოელი მეზობლის მძლავრი ხელი ხილული იყო საქართველოს ყველა სეპარატისტულ კონფლიქტში, რადგანაც მოსკოვი ცდილობს, შეინარჩუნოს პოლიტიკური ბერკეტი სამხრეთ კავკასიაში“* - აღნიშნავს ავტორი.

გერმანი ასევე ხაზს უსვამს საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის სურვილს, გაეერთიანებინა ქვეყანა, რომელმაც საბოლოოდ საქართველო რუსეთთან განახლებულ ომში ჩაითრია (შეიძლება ითქვას, რომ ნელ-ნელა მწიფდებოდა მდგომარეობა განახლებული შეიარაღებული კონფლიქტისთვის, რაც საბოლოოდ 2008 წლის აგვისტოს ომით დასრულდა - ნ. ხ.).

საქართველოს სეპარატისტული პრობლემების მიზეზად ტრეისი გერმანი, მხოლოდ რუსეთის ჩართულობას არ ასახელებს. ამის დასტურად მას დავით დარჩიაშვილის

(საქართველოს პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტს ხელმძღვანელი 2004-2008 წლებში-ჩემი) მოსაზრება მოჰყავს, რომლის მიხედვითაც, სეპარატისტული კამპანიები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში 1980-იანი წლების ბოლოს, ეროვნული აღორძინებისას განახლდა. მიზეზად მას მოჰყავს, გორბაჩოვის „პერესტროიკის“ პერიოდში ქართული ნაციონალიზმის დონის უცაბედი გაზრდა, რომლის პარალელურადაც იმატა შიდა ეთნიკურმა დაძაბულობამ და ეთნიკური კუთვნილებით მანიპულაცია პოლიტიკური ცხოვრების ერთგვარ დინამიკად იქცა. დარჩიაშვილის აზრით, ნაციონალიზმის დონის ზრდა, ორივე რეგიონის მხრიდან გაგებულ იქნა, როგორც „ქართული შოვინიზმი“. ეს ეჭვები კი, მისი თმით, 1990 წელს ზვიად გამსახურდიას საქართველოს უმაღლეს საბჭოში ლიდერად მოსვლის შემდეგ გამტკიცდა, რაც ძირითადად ეფუძნებოდა მის მიდგომებს ქართველი ხალხის უფლებების შესახებ, რომლებიც ქვეყნდებოდა სლოგანით - „საქართველო ქართველებისთვის“, აღნიშნავდა დარჩიაშვილი.

„რისკენ ისწრაფის რუსეთი?“- ამ სათაურის ქვეშ განიხილავს ქართული სახელმწიფოს და მის საპირისპიროდ რუსულ ინტერესებს ტრეისი გერმანი. თბილისსა და მოსკოვს შორის ურთიერთობის გართულებას მკვლევარი, 1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოს მხრიდან დამოუკიდებლობის გამოცხადებას და ქვეყნის ლიდერების მხრიდან გაცხადებულ დასავლურ კურსს მოჰყვა. სამხრეთ კავკასიის მცდელობას, შეენარჩუნებინა დამოუკიდებლობა და პრაგმატული საგარეო პოლიტიკა, რაც მას რუსეთის გავლენისგან გათავისუფლება და ქვეყნის ლიდერები, რომლებიც მიილტვოდნენ ისეთ საერთაშორისო აქტორებთან კავშირისკენ, როგორიცაა ევროკავშირი, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია და აშშ, რუსეთი გაანაწყენა. კერძოდ, მას არ მოსწონს თავისი სამხრეთელი მეზობლების ევროპული სვლები და ვაშინგტონთან დაახლოება, რითაც იზრდება ამერიკის სამხედრო ძალების გავლენა სამხრეთ კავკასიაში, თვლის გერმანი. *„მოსკოვს სურს, შეინარჩუნოს თავისი გავლენა ისეთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე, როგორებიცაა მოლდოვა და ბელორუსია და თვლის, რომ*

საქართველო და უკრაინა დასავლეთმა ,,წაართვა". პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს დაჟინებული აქვს, აღადგინოს მოსკოვმა თავისი გავლენა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე. ის შეშფოთებულია დასავლეთის მცდელობებით, შექმნას ,,მანუფაქტურული დემოკრატია". შედეგად მოსკოვი ცდილობს, ხელახლა განამტკიცოს თავისი შემცირებული ჰეგემონია აგრესიული ნაბიჯებით, მათ შორის სეპარატისტული კონფლიქტებით მანიპულაციით, რასაც პოლიტიკურ იარაღად იყენებს. თუმცა, მოსკოვის მანიპულატორული სვლების მიუხედავად, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხებმა კიდევ უფრო დააჩქარა საქართველოს სვლა დასავლეთისკენ. ასევე გაძლიერა მისი სურვილი, შეუერთდეს ისეთ ორგანიზაციას, როგორიცაა ნატო და შეამციროს რუსეთის ბერკეტების რაოდენობა ქართულ პოლიტიკასთან დაკავშირებით" (ტ. გერმანი).

როდესაც განვიხილავთ რუსეთის ინტერესებს საქართველოში, აუცილებელ ასპექტად მიმაჩნია მისი უპირატესობის აღნიშვნა არსებულ კონფლიქტში. ტ. გერმანის მოსაზრებით, იმის ფონზე, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოქალაქეების უმრავლესობა რუსეთის მოქალაქეობას ფლობს, მოსკოვს შეუძლია, დაასახელოს შეშფოთების მიზეზად თავისი მოქალაქეების უსაფრთხოება და სწორედ ეს გამოიყენოს კონფლიქტის ესკალაციის შესაძლო მოტივად. „მოსკოვი არ იქნება გულგრილი თავისი მოქალაქეების უსაფრთხოების დაცვის მიმართ, რომლებიც სამხრეთ ოსეთის აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენენ"- რუსეთის ხელისუფლების 2004 წელს გაკეთებული ეს განცხადებაც ამაზე მეტყველებს. თუმცა, ამგვარი რიტორიკა რეალური ქმედებით არ შეცვლილა და მიუხედავად ეგრეთ წოდებული დამოუკიდებლობისა სეპარატისტულ რეგიონებს არც დე-იურე დამოუკიდებლობა აქვთ, არც ოფიციალურად არიან რუსეთის შემადგენლობაში (მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს ამისთვის საჭირო ინსტრუმენტები გააჩნია) და ისევ საქართველოს ნაწილად რჩებიან. *„ის ფაქტი, რომ ეს მომენტი ჯერ არ დამდგარა, იმას ნიშნავს, რომ მიუხედავად რუსეთის სურვილისა, სეპარატისტული რეგიონების სახით ჰქონდეს საქართველოზე კონტროლის შემანარჩუნებელი ბერკეტი, მას არ*

სურს ამ ტერიტორიების შეერთების გამო სრულმასშტაბურ ომში ჩართვა მეზობელ ქვეყანასთან“- აღნიშნავს გერმანი(2006).

„რუსეთს აქვს საქართველოს ტერიტორიული დავების გასაღები და იყენებს მას ბოროტად, რათა არ აღმოიფხვრას კონფლიქტი და იყოს დაძაბულობა. მოსკოვსა და თბილისს შორის 2005 წელს გაფორმებული ხელშეკრულების შედეგად, რომელიც ეხებოდა საქართველოსთან რუსული სამხედრო ბაზების სიახლოვეს, გაჩნდა იმედი, რომ ამ საკითხის გადაჭრის გამოყენება შეიძლებოდა ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობების მოსაგვარებლად. ეს, თავისთავად, გულისხმობდა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საკითხებსაც. თუმცა არსებობს ეჭვი, თუ სინამდვილეში რამდენადაა დაინტერესებული რუსეთი ამ კონფლიქტებში ფასილიტატორობით. უპირველეს ყოვლისა, მათ ეს წაართმევდა თბილისზე გავლენის შემანარჩუნებელ ბერკეტს. მეორე მიზეზი კი ისაა, რომ არამდგრადი საქართველო ინვესტიციებისა და პოლიტიკური პარტნიორობის კუთხით დასავლეთისთვის ნაკლებად მიმზიდველია და ეს ხელს შეუშლიდა მოსკოვს რეგიონზე დომინანტური გავლენის შენარჩუნებაში. საკამათოა საკითხი, რომ ერთი მხრივ რუსეთის მიერ სეპარატისტულ რეგიონებზე კონტროლი საქართველოზე გავლენის შენარჩუნების საშუალებას იძლევა და მეორე მხრივ, ამან შეიძლება უფრო სერიოზული არასტაბილურობა შექმნას ზოგადად კავკასიაში. მოსკოვი მოიპოვებს უფრო მეტს იმ შემთხვევაში, თუ ითანამშრობლებს თბილისთან კონფლიქტურ სამხრეთ საზღვარზე და დაეხმარება ტრანსნაციონალური პრობლემების გადაჭრაში, მაგალითად იარაღისა და ნარკოტიკების ტრეფიკინგის გაკონტროლების საკითხში“ -აღნიშნავს ტ.გერმანი.

გენოციდი, როგორც ცალკე ასპექტი

ქართულ-აფხაზურ და მასთან ერთად ქართულ-ოსურ ურთიერთობებს განსხვავებულ ჭრილში განიხილავს მკვლევარი ევგენი ფინკელი თავის პუბლიკაციაში „სამი გენოციდის ისტორია“(In Search of Lost Genocide: Historical Policy

and International Politics in Post-1989 Eastern Europe Evgeny Finkel Published online: 08 Jan 2010). გენოციდი, როგორც ცალკე ასპექტი და მასთან დაკავშირებული ფაქტები, რომელთაც სამართლებრივი შეფასება არ მისცემია, თუმცა აფხაზების, ოსებისა და ქართველების ისტორიულ მეხსიერებაში სამუდამოდ ჩარჩა და ამ ერებსა და ეროვნებებს შორის ურთიერთობები დიდი ხნით განსაზღვრა და განაპირობა. *„პოსტ 1989-წლების მთავრობების ისტორიულმა პოლიტიკამ, განსაკუთრებით გენოციდთან დაკავშირებულმა მითებმა და ნარატივებმა დიდი როლი იქონია უფრო შორეულ მომავალში პოლიტიკურ შედეგებზე, როგორც ქვეყნების შიგნით, ასევე მათ გარეთ“*- ვკითხულობთ სტატიაში.

ვინაიდან ავტორისთვის საკვლევ საკითხს წარმოადგენს აღმოსავლეთ ევროპული კონფლიქტები საბჭოთა სისტემის დაშლის შემდეგ, ის ამ ომებისა თუ კონფლიქტების ისტორიაში ეძებს გენოციდის ფაქტებს. კერძოდ, რა მნიშვნელობა აქვს დრეს ისტორიულ გენოციდებს? რატომ ხატავს ზოგიერთი ქვეყანა თავიანთ ისტორიას გენოციდად, როცა სხვები ამისგან თავის შეკავებას ამჯობინებენ? რა გავლენა აქვს ამას საშინაო პოლიტიკაზე?

აღსანიშნავია, რომ ფინკელი თავის სტატიაში გენოციდის ფაქტებს ავლენს სწორედ რუსეთის, საქართველოს, დე-ფაქტო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების წარმომადგენლების გადმოცემებზე დაყრდნობით და იმ განცხადებებით, რომლებითაც დაპირისპირებული მხარეები საერთაშორისო ტრიბუნალზე გამოდიოდნენ. ავტორი სტატიაში ცდილობს მიმოიხილოს 1989 წლის მომდევნო პერიოდში ხელისუფლებების მიერ გენოციდის პოლიტიკური გამოყენების შემთხვევები და აჩვენოს ამ მაგალითების საერთაშორისო გავლენა. პუბლიკაციაში ვკითხულობთ: „ *ამ კონფლიქტის (საუბარია ქართულ-აფხაზურ კონფლიქტზე- ნ. ხ.) დასაწყისიდანვე ორივე მხარემ ჩაიდინა არაერთი გენოციდური ქმედება ერთმანეთის წინააღმდეგ. აფხაზებისთვის, ეს ბრძოლა, როგორც ბრძოლა გენოციდის წინააღმდეგ სეპარატისტული კონფლიქტიდან ჰუმანიტარული მნიშვნელობის საკითხამდე მივიდა. ეს იქცა უმნიშვნელოვანეს არგუმენტად, რითაც*

სამართლიანად აცხადებდნენ თავიანთ დამოუკიდებლობის სურვილს. უფრო მეტიც, სწორედ გენოციდი გამოიყენეს აფხაზებმა საერთაშორისო მხარდაჭერის, განსაკუთრებით კი რუსეთის მხარდაჭერის მოსაპოვებლად“ (ფინკელი: 2010) .

ამ მოსაზრების დასტურად ფინკელს მოჰყავს აფხაზეთის პრეზიდენტის 2007 წელს წარმოთქმული სიტყვები : *,,აფხაზი ხალხი გენოციდის მსხვერპლია.“* მისივე თქმით საქართველოსთან ხელახალი შეერთება ეროვნული სუიციდის ტოლფასი იქნებოდა. ასევე მკვლევარი აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრის ვიაჩესლავ ჩირიბკას გამოსვლებიდან ხელმძღვანელობს, რომელიც ქართულ პოლიტიკას რეგიონის მიმართ აღწერს, როგორც *„აფხაზურ ჰოლოკოსტს“* და *„აფხაზეთის პრობლემის საბოლოოდ მოსაგვარებელ მცდელობას“.*

„გასაკვირი არაა, რომ თავის მხრივ საქართველოს ხელისუფლების ბრალდება, აფხაზეთის ხელისუფლების ბრალდებას ემთხვეოდა“- აღნიშნავს მკვლევარი და მაგალითად საქართველოს მეორე პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის სიტყვები მოჰყავს: *„რაც აფხაზმა სეპარატისტებმა ქართველების წინააღმდეგ ჩაიდინეს, ცხადია გარე ძალების დახმარებით, უნდა ჩაითვალოს არაჰუმანურ კრიმინალად, ვანდალიზმად და გენოციდად.“*

მკვლევარის თქმით, ქართველი მხარე უშედეგოდ ცდილობდა გაეროს უსაფრთხოების საბჭოს, ადამიანის უფლებათა კომისიასა და გაეროს გენერალურ მდივანს ამოეცნო ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის მიმართ განხორციელებული გენოციდის ფაქტები. ანალოგიურად მოხდა აფხაზეთის მიმართაც. 1993 წელს სპეციალურ საერთაშორისო ტრიბუნალზე გენოციდის შესახებ მტკიცებულებების შესაგროვებლად და დამნაშავეების გამოსავლენად სახელმწიფო კომისიაც კი ჩამოყალიბდა, თუმცა ესეც უშედეგოდ. მას შემდეგ კი ბრალდებები გენოციდზე მუდამ თან სდევდა კონფლიქტის მოგვარების მცდელობებს. აფხაზმა ლიდერებმა ასევე მოითხოვეს გაეროს უშიშროების საბჭოს გაეკრიტიკებინა საქართველოს გენოციდური კამპანია და სცადეს, გაებათილებინათ საქართველოს საჩივრები. *„საქართველომ ასევე მოითხოვა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის*

ორგანიზაციის მხრიდან გენოციდის ფორმალური აღიარება, რომელმაც ცნო აფხაზეთში მომხდარი ეთნიკური წმენდა, მაგრამ , თბილისის იმედის გასაცრუებლად, მიუხედავად ამისა, შეწყდა გენოციდის მოვლენების აღნუსხვა. 2003 წელს თბილისმა დააანონსა სურვილი, გენოციდის საქმე განეხილა ჰაგის ტრიბუნალზე. 2006 წელს რევაზ ადამია, საქართველოს ელჩი გაეროში, მკაფიოდ ადანაშაულებდა რუსეთს აფხაზეთში მომხდარ გენოციდში. მიუხედავად ამისა, გენოციდის აღიარების პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ისაა, რომ ეფექტურად უშლის ხელს კონფლიქტის რეზოლუციის პროგრესს. ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოს პრემიერ მინისტრი ზურაბ ჟვანია ამბობდა, რომ არ დაიწყებდა აფხაზებთან მოლაპარაკებებს, სანამ აფხაზეთი არ აღიარებდა 1993 წლის გენოციდს. თავის მხრივ, მოლაპარაკებების დასაწყებად ზუსტად იმავეს ითხოვდა სოხუმი ქართველების მხრიდან“ (ე. ფინკელი 2010).

ევგენი ფინკელი გენოციდზე საუბრისას ოსების შემთხვევაც მოჰყავს. ადგილი სადაც ექსცენტრიულად გამოიყენებოდა გენოციდის რიტორიკა - აღნიშნავს მკვლევარი. ოსები, რომლებიც აფხაზების მსგავსად მხარს არ უჭერდნენ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას და იმედი ჰქონდა, რომ ან საბჭოთა კავშირი შენარჩუნდებოდა, ან არადა გაერთიანდებოდა ჩრდილოეთ ოსეთთან და ავტონომიის სახით შევიდოდა რუსეთის შემადგენლობაში (რაც დღემდე არ გაუკეთებია რუსეთს- ჩემი). ისევე, როგორც აფხაზეთის, ოსების ლიდერებიც სწორედ გენოციდს იყენებდნენ, რათა სამართლებრივად გაემართლებინათ თავიანთი სურვილი - გამოეცხადებინათ დამოუკიდებლობა, აღნიშნავს ე. ფინკელი თავის პუბლიკაციაში. *„ასევე ოსებმა რამდენიმეჯერ სცადეს გენოციდის რეალურობის საერთაშორისო აღიარების მოპოვება. მათი მთავარი მსმენელი, ძირითადად, რუსეთი იყო. 2008 წლის აგვისტოში, როდესაც ქართველმა ჯარებმა სცადეს ცხინვალის აღება, რუსეთმა თავისი სამხედრო ძალა იქ გაგზავნა იმის მტკიცებით, რომ მოსალოდნელი იყო ომი. მათი ოფიციალური განცხადებით, ეს იყო სამშვიდობო ოპერაცია, რომელიც ოსების შესაძლო გენოციდისგან დაცვას ემსახურებოდა. ძნელი სათქმელია, სინამდვილეში*

რამდენად სჯეროდა კრემლს, რომ ოსეთში მართლაც მიმდინარეობდა გენოციდი, მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს არგუმენტი მიზანმიმართულად, ცინიკურად გამოიყენა, იმ დღიდან ამიერკავკასიაში კონფლიქტის მოგვარების შესახებ საუბარი გართულდა და ახალი ცივი ომის საშიშროება წარმოიშვა, სადაც მთავარი საკითხი გენოციდი იქნებოდა"- წერს ე.ფინკელი. იყო ეს მულტიეთნიკური სახელმწიფოს შიდა, ქვეყნის მოსახეობის კომპლექსით განპირობებული გენოციდის ნიშნები თუ „გარედან" (რუსეთის მიერ) პროვოცირებული, მიუხედავად ამისა, გენოციდის ასპექტი მნიშვნელოვან ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოსა და სეპარატისტულ რეგიონებს შორის დავაში (სეპარატისტული რეგიონების ლიდერთა სიტყვებშიც სწორედ რუსული კვალი მოსჩანს- ჩემი). ჩემი აზრით, ევგენი ფინკელის პუბლიკაციიდანაც ის ნათლად ჩანს, რომ გენოციდი, როგორც ცალკე ასპექტი ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ურთიერთობებში, წარმოადგენს რუსეთის ხელში არსებულ კიდევ ერთ ინსტრუმენტს, რომლითაც ეს უკანასკნელი ცდილობს საერთაშორისო ტრიბუნალზე „გაამართლოს" მისი შეიარაღებული მოქმედებები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახელით საქართველოს წინააღმდეგ. ამის მაგალითია ფინკელის პუბლიკაციაში მოყვანილი შემდეგი გარემოება, რომლის მიხედვითაც კრემლმა გადაწყვიტა ოსეთში (ასე უწოდებს ცხინვალს ავტორი) წამოეწყო გამოძიება არალეგალური გენოციდის შესახებ. რუსულმა სამართლებრივმა უწყებებმა დაიწყეს ქართული მხრიდან გენოციდის მტკიცებულებების შეგროვება, რათა საქართველოს ლიდერებისთვის ბრალი საერთაშორისო სასამართლოზე წარედგინათ. გასაკვირი არაა, რომ რუსულმა მხარემ მონახა მსგავსი მტკიცებულებები, რაც 162 ოსი სამხედროს მკვლელობას ეხებოდა. რასაც თბილისის მხრიდან რუსეთის წინააღმდეგ ჰააგის სასამართლოში საქმის აღძრა მოჰყვა, წერს ფინკელი.

აგვისტოს ომი - მთლიანი ისტორიის ნაწილი თუ ახალი ისტორიის დასაწყისი?

ამ კონფლიქტების ისტორიის ცალკე მონაკვეთს სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოადგენს საკუთრივ აგვისტოს 5-დღიანი ომის ისტორია, ვინაიდან ამ ომის ისტორიამ გადაფარა კონფლიქტების ისტორიის სხვა ასპექტები და შეიძლება ითქვას, წაშალა ეს კონტექსტი. 2008 წლის აგვისტოს ომის ქრონიკას მარგარიტა ახვლედიანის პუბლიკაციით -The fatal flaw: the media and the Russian invasion of Georgia (2009), რომელიც ეყრდნობა 2009 წლის Human Rights Watch-ის (HRW) მოხსენებას. როგორც მარგარიტა ახვლედიანი წერს, ეს მოხსენების შენაარსი უცნობი იყო ომში დაზარალებულთათვის, რადგან ადგილობრივ მედიაში არ გაშუქებულა და მოსახლეობამ ენის ბარიერის და კომპიუტერული უნარების არფლობის, ასევე ინტერნეტთან წვდომის არ ქონის გამო ვერ შეძლო გაცნობოდა მას. ფართო საზოგადოებისთვის კი ერთადერთ საინფორმაციო წყაროს ადგილობრივი მედია წარმოადგენდა, ისინი იყვნენ რეალური საინფორმაციო საშუალებები, ანალიტიკოსები და მრჩევლები საქართველოს, რუსეთის და განსაკუთრებით სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისთვის.

თავის პუბლიკაციაში მარგარიტა ახვლედიანი მედია ომზე საუბრობს და ამბობს, რომ ადგილობრივი მედიის მიერ დახატულ სურათს მოჰყვა ორი სხვადასხვა პარალელური კონფლიქტი 2008 წლის აგვისტოში. საქართველოში , ტელევიზიებმა და გაზეთებმა ქვეყანა რუსეთის აშკარა აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლ ქვეყნად და მისი ერთიანობის დამცველად წარმოაჩინეს. ორმა სატელევიზიო არხმა- რუსთავი 2 მა და საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, რომლებიც კონტროლდებოდა სახელმწიფოს მიერ - გააშუქეს ბრძოლა. მეორეს მხრივ, რუსეთში სამი მთავარი ეროვნული სატელევიზიო არხი - „პირველი არხი“, „რუსეთი“ და NTV - იგივე „Russia Today“, დასავლეთს ინგლისურად გადასცემდნენ და მთავარმა ბეჭდურმა მედიამ საქართველო ასახა , როგორც აგრესორი და მკითხველს აუწყა, რომ რუსული ჯარები შევიწროვებული ოსების დასახმარებლად და მათი ეთნიკური წმენდის თავიდან ასაცილებლად იყვნენ ჩასული.

როგორც პუბლიკაციაში ვკითხულობთ, 7, 8 და 9 აგვისტოს ქართულ ტელევიზიებს

ჯერ კიდევ შეეძლოთ პირდაპირი ჩართვა ქონოდათ გორიდან და ცხინვალიდან, თუმცა ჟურნალისტები, თითქმის ყოველთვის, სამხედრო მანქანებში იყვნენ. მაგალითად, რუსთავი-2 მა გადმოსცა, რომ სროლის ხმა ჯერ კიდევ ისმოდა ცხინვალიდან, რადგან ქართული ჯარები ცდილობდნენ მოქალაქეების დაცვას ქალაქის სამშვიდობო ძალებისგან წმენდის დროს. კადრებში ასახულია ქართველი ჯარისკაცები როგორ მართავენ ჯავშანტექნიკას დაცლილი ცხინვალის ქუჩებში, მიუხედავად ამისა, მაყურებლები დაარწმუნეს, რომ ზოგადად, სიტუაცია კონტროლირებადი იყო. ადგილობრივი ოსებისგან ინტერვიუ არასდროს აუღიათ და არც ტელევიზიით უჩვენებიათ.

ამავდროულად, რუსეთში, რამდენიმე არხი პირდაპირ ეთერში გადმოსცემდა, რომ რამდენიმე საათის განმავლობაში მთელი ცხინვალი აღიგავა პირისაგან მიწისა, უამრავი ადამიანი გარდაიცვალა, საავადმყოფოები, საბავშვო ბაღები, საცხობები და ეკლესია განადგურდა, ელექტრომომარაგება შეწყდა. კადრებში ჩანდა, რომ ხალხი გარბოდა და შიშისგან ყვიროდა. სატელევიზიო გადაცემა „Vesti“ ს რეპორტიორი გადმოსცემდა : „ ქართველები (ჯარისკაცები) აღტაცებულები ყვიროდნენ ოსი ქალებისა და ბავშვების ხოცვის დროს.“ გადმოცემებმა აღნიშნეს, რომ თავდასხმის დაწყებამდე ორი საათით ადრე , როდესაც გრადის რაკეტები ცხინვალისკენ მიემართებოდნენ, სატელევიზიო მიმართვაში სააკაშვილმა ცეცხლის ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ განაცხადა.

სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა პირდაპირ ეთერში სატელევიზიო მიმართვაში თქვა: „ ასობით ადამიანია დაღუპული ცხინვალში. ეს არის ოსების მესამე გენოციდი ქართველების მიერ.“ თითქმის პარალელურად, პრეზიდენტი სააკაშვილი კვლავ გამოჩნდა რუსთავი 2 ზე და ხალხს აუწყა, რომ სამხრეთ ოსეთის რამდენიმე სოფელი და ცხინვალის ქუჩები უკვე გათავისუფლებული იყო ქართული ჯარების მიერ. „ საქართველოს არ დაუწყია ეს დაპირისპირება და საქართველო არ დათმობს თავის ტერიტორიებს. საქართველო არ

ეტყვის „არას“ თავისუფლებას “, განაცხადა სააკაშვილმა.

რაც შეეხება ქართულ და რუსულ ბეჭდურ მედიას, მკვლევარი ასეთ სურათს გვიხატავს - „ ორივე მხარეს გამოქვეყნებული გაზეთები, ძირითადად, ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდნენ - საპირისპირო მხარის ცილისწამებით ნებისმიერ შესაძლო გზით და საკუთარი პოზიციის მორალური უფლების გამოხატვით. „ სააკაშვილი კარგად მოემზდა ომისთვის“, „Izvestia“ მ აუწყა თავის მკითხველს. „სხვათაშორის, არც ისეთი გიჟია, როგორიც გვეგონა. საუკეთესო სტუდენტი, ამერიკის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული მიზანმიმართულად და მარჯვედ ხარჯავს თავისი სპონსორების ფულს.“

ანალოგიურად, საქართველოში, 11 აგვისტოს, ყოველკვირეული გაყიდვადი გაზეთის „კვირის პალიტრის“ პირველი გვერდის თითქმის ნახევარი ეკავა რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის ფოტოს უზარმაზარი წარწერით „ შეხედე მტერს და იცნობდე მას! ჩვენ ჩამოვაგდეთ მისი თვითმფრინავები! შენ, მთავარო რუსო აგრესორო, შენც ჩამოგაგდებთ!“

ორივე ქვეყანაში იყო მცდელობა, ხალხისთვის მიეწოდებინათ რეალური ინფორმაცია. 18 აგვისტოს, თბილისის გაზეთმა „მთელი კვირა“ ცნობილი ქართველი ექსპერტის - ივლიანე ხაინდრავას ინტერვიუ გამოაქვეყნა. „საქართველოს ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა იღონოს იმისთვის, რომ რუსეთს არ მისცეს საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის მიზეზი. რამდენადაც ვიცი, ჩვენი მოკავშირეები სთხოვდნენ საქართველოს მთავრობას, არავითარ შემთხვევაში არ მიეცათ ნება რომ ეს მომხდარიყო“, თქვა ხაინდრავამ.

მეორე ქართულმა გაზეთმა „რეზონანსი“ გამოაქვეყნა ცნობილი ქართველი პოლიტოლოგის პაატა ზაქარეიშვილის მოსაზრება . „ძალიან ვცდებით, თუ გვგონია, რომ მხოლოდ სახლები დაინგრა, ინფრასტრუქტურა განადგურდა და ადამიანები დაიღუპნენ. ჩვენ ასევე, საბოლოოდ დავკარგეთ აფხაზების ადა ოსების რწმენა. ჩვენ რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის არსებობა გვინდოდა, მაგრამ რუსეთ-ამერიკის

კონფლიქტად ვაქციეთ. აფხაზეთში რეალური სამოქალაქო საზოგადოება არსებობს. ჩვენ ისინი დემოკრატიისკენ, სამოქალაქო საზოგადოებისკენ, დასავლეთისკენ მიმავალ გზაზე მივატოვეთ..“ - ვკითხულობთ პუბლიკაციაში.

გამოკვეთილია ასევე კონკრეტული ონლაინ წყაროს როლი საკითხის გაშუქებისას, რომ „იყო რამდენიმე მცდელობა უფრო მეტად დაბალანსებული გამომსახველობებით. ინტერნეტ წყარო Civil.ge საქართველოში და რუსეთის რამდენიმე გაზეთში ცდილობდა მოეპოვებინა მრავალმხრივი ინფორმაცია. მაგრამ ისინი ცოტანი იყვნენ და მედიაზე დომინირება ვერ შეძლეს. უმეტესად, მედიის მოქმედების ზონა, ორივე ქვეყანაში, ოფიციალური ვერსიის სასარგებლოდ , მკაცრად კონტროლდებოდა“.

ქართულ სატელევიზიო არხზე - „რუსთავი 2“-სა და „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ აგვისტოში გაშუქებულ ახალ ამბებს ასე აფასებს პუბლიკაციის ავტორი : „აგვისტოში, მიმდინარე ახალი ამბები ქართულ სატელევიზიო არხებზე რუსთავი2 სა და საზოგადოებრივ არხზე გადიოდა პირდაპირ ეთერში ყოველ საათში 30-40 წუთის განმავლობაში. აღნიშნული დროის ნახევარი ოფიციალური პირების სიტყვას ეთმობოდა. ბრძოლის ველიდან მკაცრად კონტროლდებოდა მოხსენებების შინაარსის ცენზურა და ინფორმაციის ალტერნატიული წყაროები არ გამოიყენებოდა.ორივე არხი გადმოსცემდა პრეზიდენტისა და სხვა მაღალჩინოსნების განცხადებებს და ყურადღებას ამახვილებდა მათ სიტყვებზე. მაგალითად, დიდი ყურადღება მიექცა პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის განცხადებას , სადაც მან განაცხადა, რომ „ეს რეგიონები (აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი) საქართველოს ნაწილია... ეს საკითხი უდავოა.“ ეს გადმოიცა დაახლოებით 20ჯერ დღის განმავლობაში, ასევე - შტატების მდივნის, კონდოლიზა რაისის პრეს-კონფერენციაზე თბილისში.“

რუსულ საინფორმაციო ტელესივრცეს კი : „ რუსეთს საკუთარი გმირები გამოჰყავდა ტელევიზიით. Vesti 24 მა პირდაპირ ეთერში გაუშვა ინტერვიუ, სადაც ფიდელ კასტრომ 15ჯერ დაადანაშაულა ბუში საქართველოში არსებულ

კონფლიქტში. კუბას ყოფილი დიქტატორი ამტკიცებდა, რომ საქართველოს მთავრობა ვერასდროს გაბედავდა სამხრეთ ოსეთზე თავდასხმას პრეზიდენტ ბუშის დახმარების გარეშე.“

ამის შემდეგ, როგორც პუბლიკაციაში ვკითხულობთ მომდევნო დღეებში , სხვაობა მოვლენების გაშუქებაში გასაოცარი იყო. მედიამ მხოლოდ ერთი მხარის ტრაგედიის გაშუქება დაიწყო, ქმნიდა განუმეორებელ გრძნობას , რომ „ჩვენ“ ვართ მსხვერპლი და „ისინი“ არიან აგრესორები. როგორც ყოველთვის, ომის პირველი მსხვერპლი, სიმართლე აღმოჩნდა. ცრემლის გარეშე ვერავინ უყურებდა ცხინვალში განვითარებულ მოვლენებს. „ათეულობით, ასეულობით თუ არა, ბავშვი არის სარდაფში“, წერდა პოპულარული რუსული ინტერნეტ წყარო Novosti.Mail.ru.

იგივე დღეს, ქართულმა გაზეთმა „კვირის პალიტრა“ პირველ გვერდზე დაბეჭდა ფოტოები გორიდან, რომლებზეც ასახული იყო გარდაცვლილი ხალხი და დანგრეული შენობები. გვერდის ბოლოში წარწერა იყო: „XXI საუკუნის სამშვიდობოების ბარბაროსობა. ფაშისტები!“ თუმცა, არც ინფორმაცია და არც ერთი ფოტო არ იყო ცხინვალის კატასტროფის შესახებ. ისევე, როგორც Novosti.Mail.ru. ში არ იყო ნახსენები საქართველოს ქალაქების დაბომბვის შესახებ, არც უამრავ მოკლულსა და ათასობით ლტოლვილზე.

ყოველკვირეულმა გაზეთმა „კვირის პალიტრა“ ომის შემდგომ თავის პირველ გამოცემაში გამოაქვეყნა 18 მოკლე მოხსენება მცირე ზომის ფოტოებით, რომლებიც საქართველოში მოროდიორობას ასახავდა. თუმცა, არცერთ მოხსენებაში არ იყო ნახსენები ცხინვალზე თავდასხმა და ოსების დახოცვა. უფრო მეტიც, ერთ-ერთ მოხსენება უფრო შორს წავიდა და თქვა, რომ „რუსულმა არმიამ დაბომბა ცხინვალი და ქალაქი გაანადგურა.“

რუსმა მოქალაქეებმა ნახეს მხოლოდ მოროდიორობის გულ-გამგმირავი სცენები ცხინვალში, საცოდავი ლტოლვილების - ოსების ექსკლუზიური ინტერვიუების თანხლებით. ქართულ მედიაში, რუსული ძალები დახატული იყო როგორც

დამპყრობლები, რომლებიც მოულოდნელად დაესხნენ თავს საქართველოს დემოკრატიისა და დამოუკიდებლობის გაუქმების მიზნით. პრეზიდენტ სააკაშვილის სიტყვებით, ისინი ხშირად იყვნენ შედარებული საბჭოთა კავშირის არმიას, რომელმაც 1956 წელს უნგრეთი დაიპყრო , ხოლო ჩეხოსლოვაკია - 1968 წელს.

მოვლენების ქრონოლოგიას მიჰყვება ავტორი და ამბობს, რომ „რუსეთში ტელევიზიები და გაზეთები აქვეყნებდნენ უამრავ ამბავს საკუთარი შეიარაღებული ძალების შესახებ , ხატავდნენ მათ როგორც განსაკუთრებულ სამშვიდობო ძალებს , თბილისის პროვოკაციისგან ოსების დასაცავად; ქართველ ჯარისკაცებს კი გარეულ ცხოველებად ხატავდნენ . მაგალითად, Izvestia ში გამოქვეყნებული ერთი თვითმხილველი აცხადებდა „მაიორი გზაზე გავიდა რომ ენახა ჯავშანტექნიკა მოდიოდა თუ არა ქალაქიდან. ზუსტად მაშინ მან დააბიჯა იმ ადგილას - ცეცხლის გაფრქვევამ მას ფეხები მოაწყვიტა. (ვერაგი) ქართველი ბუჩქებიდან გამოვარდა და ჩვენც ცეცხლი გაგვიხსნა , მან მე და ორი ჯარისკაცი დაგვჭრა. და ეს (ბინძური) ქართველი ყველას დაგვხოცავდა, მაიორს რომ მთელი ძალა არ მოეკრიბა და არ ესროლა მისთვის. “

ქართული მედია ზუსტად ასევე გადმოსცემდა , უბრალოდ ამატებდა ვინ იყო დამნაშავე და ვინ საქებარი. „ჩვენი ჯარისკაცები ოდნავ გვანან 90იანი წლების დასაწყისის აფხაზეთის ომის მებრძოლებს“, დაწერა „კვირის პალიტრამ“. „ არანაირი გაზვიადებული პათეტიკური სიტყვები სამშობლოზე, არამედ რეალური ფიზიკური და სულიერი სიძლიერის დემონსტრაცია. ისინი უბრალოდ გამოიყურებოდნენ და იქცეოდნენ იდეალურად.“ მომდევნო გამოცემაში გაზეთმა პირველ გვერდზე განათავსა ფოტო კოლაჟი, რომელიც ასახავდა პირდაღებულ მგელს , რომელსაც ჩაფხუტი ეფარა რუსული ლურჯასოებიანი წარწერით“ სამშვიდობო ძალები.“

აქ უკვე ახვლედიანი უცხოურ მედიას, BBC-ს როლს თავისი შუამავლებით ეხება. როგორც პუბლიკაციაში ვკითხულობთ ტიმ ვეველის რეპორტაჟით „საქართველო ბრალდებულია მოქალაქეების დაბომბვაში.“ ქართველი ჟურნალისტი სოფო ბუკია

ეხმარებოდა მას , როგორც შუამავალი, საქართველოში. მან თქვა, რომ ბევრი ოჯახი მოინახულეს და ბრიტანელმა ჟურნალისტმა უამრავი ქართული საფლავი ნახა.თუმცა, ბოლო რეპორტაჟში ვეველმა ამის შესახებ ინფორმაცია არ გაავრცელა და აჩვენა საზოგადოების მხოლოდ ერთ მხარე, სამხრეთ ოსეთში მწუხარებით მოცული შვილმოკლული დედა და მეორეს მხრივ - მობურტყუნე ქართველი საგარეო საქმეთა მინისტრი.

 სიუჟეტის გასვლას ცხარე დაპირისპირება მოჰყვა ორ ძველ კოლეგას - ქართველ სოფო ბუკიასა და ჩრდილოელ ოს - ალან ცხურბაევს შორის, რომლებიც შემთხვევით ვეველის შუამავლები აღმოჩნდნენ. „ეს ნამდვილად ძალიან მაგარი, მამაცური და ძალიან დეტალური რეპორტაჟია“, დაწერა ცხურბაევმა თავის ბლოგში. „ მოხარული ვარ, რომ მე მის შექმნაში მივიღე მონაწილეობა . მე ვნახე, როგორ იცვლებოდა ხალხის დამოკიდებულება ომის მიმართ. მე ვნახე მათი გულწრფელი გაოცება, როდესაც ცხინვალელებმა უთხრეს მათ, რომ ქართველების ტანკები მათ სახლებს ესროდნენ, აბსოლუტურად მარტონი როგორ ცდილობდნენ ტანკების შეჩერებას და მათ ეს გამოუვიდათ. “

„რეპორტაჟი აბსოლუტურად დაუბალანსებელია და ის ყველა სტანდარტს ანგრევს ჩემთვის და მილიონობით ამ პლანეტაზე მცხოვრები ადამიანისთვის , რომლებიც BBC ს ვენდობით“, უპასუხა სოფომ. „ ეჭვი არ მეპარება, რომ ხალხმა ცხინვალში საშინელი დღეები გადაიტანა აგვისტოში და იმ შვილმკვდარი დედის ტკივილიც გაუსაძლისია.... კონფლიქტის მეორე მხარეს მყოფი დედების ტკივილი არ მინახავს მე ამ რეპორტაჟში, რომლებმაც ასევე, შვილები დაკარგეს. ასობით ასეთი დედაა ორივე მხარეს, სამხრეთ ოსეთშიც და საქართველოშიც. BBC ნამდვილად ვარაუდობს, რომ შესაძლებელია იმ ქალის ამბის გათანაბრება, რომელმაც ვაჟი დაკარგა, საგარეო საქმეთა მინისტრის კომენტართან? საამისოდ საჭიროა იმ დედის ამბის მოშველიება, რომლის შვილიც გორში დაბომბვის შედეგად ჩამონგრეული საცხოვრებელი შენობის ნანგრევებში დასამარდა. უამრავი ასეთი შემთხვევა იყო,

უბრალოდ ამის დასანახად სურვილია საჭირო.“

მკვლევარის თქმით „ ასევე, იყო ბრალდებები ძარცვის შესახებ. Human Rights Watch ს შეუძლია დაადასტუროს რომ : ა) რუსი სამხედროები - რომელთა უმეტესობაც დისციპლინარული წესით იქცეოდა და ზოგიერთ შემთხვევაში იცავდნენ კიდეც მოქალაქეებს ოსური ძალებისგან, მილიციისგან ან მძარცველებისგან. მიუხედავად ამისა, რუსულმა ძალებმა დიდი როლი ითამაშეს ოსური ძალების მიერ ქართული სახლების ფართომასშტაბიან განადგურებაში. ბ) ქართული სახმელეთო ძალები - რამდენიმე ოსმა მოქალაქემ განაცხადა მოროდიორობის შესახებ მაგრამ სხვა მხრივ, არ აცხადებდნენ ქართველი სამხედროების მხრიდან სახმელეთო თავდასხმის დროს სხვა სპეციფიკური ინციდენტების ,შეურაცხმყოფელი ქმედებების შესახებ. გ) სამხრეთ ოსეთის მილიცია: „ ქართულ სოფლებში შესვლისას, ოსურმა ძალებმა დაუყოვნებლივ დაიწყეს სახლებში შესვლა, ქართველი სამხედროების ძებნა, მოროდიორობა და სახლების დაწვა. 11 აგვისტოსთვის თავდასხმები გახშირდა და ფართო მასშტაბიანი გახდა. სოფლების უმეტესობაში მოროდიორობა და მათი დაწვა პერიოდულად გრძელდებოდა სექტემბერში და ხანდახან ოქტომბერსა და ნოემბერშიც.“

ქართულ მედია სივრცეში ცალმხრივად გაშუქებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით მანანა ახვლედიანს ჟურნალისტთა ასეთი არგუმენტები მოჰყავს - „ „როდესაც ვკითხე ქართველ ჟურნალისტებს და გამომცემლებს, თუ რატომ არასდროს უცდიათ მიეწოდებინათ მოწინააღმდეგე მხარის შესახებ ინფორმაცია და მათი შეხედულებები, მათმა უმეტესობამ ან პატრიოტული მაქსიმებით გვიპასუხა ან ზემოთ ხსენებული შეხედულების ანალოგიურად. მაგალითად, “ არ აქვს აზრი მტერთან კონტაქტს, თუ ის თავიდანვე ცდილობს შენს მოტყუებას.” ბევრი მათგანი ასევე ჩიოდა - და მართალიც იყო - რომ თითქმის შეუძლებელი იყო სანდო ინფორმაციის პოვნა ან ამბების გარჩევა გადაადგილების შეზღუდვის შემდეგ , ქალაქებსა და სოფლებში საშინელი ჭორები მიმოდიოდა. გასაგებია, რომ სამხრეთ ოსეთის გარემოებების რუსეთში გაშუქება და გადაცემა საქართველოში აღიქმებოდა

როგორც მტერთან კოლაბორაცია. ქართველ გამომცემლებს ახლაც შეუძლიათ, თუმცა არასდროს გამოუყენებიათ დასავლური მედიის გავრცელებული მასალა.“ კონკრეტულად ვინ იყვნენ ეს ჟურნალისტები, რომელთაც მკვლევარმა კითხვები დაუსვა პუბლიკაციაში არ ჩანს (ჩემი).

ბოლოს პუბლიკაციაში საუბარია ქართული მხარის მიერ 11 აგვისტოს რუსულ სატელევიზიო სადგურებთან წვდომის დახურვაზე. აღსანიშნავია ასევე ის ფაქტორი, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთს, სამხრეთ ოსეთად მოიხსენიებს მკვლევარი.

2. კვლევის დიზაინი: საკვლევი საკითხი და მეთოდი

2.1. მეთოდი

საკვლევ პოპულაციას წარმოადგენს ყოველდღიური გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“.

დროითი ჩარჩოები: 1990 წლის დეკემბერი- 1991 წლის ნოემბერი; 2019 წელი იანვარი-მაისი.

საზრისისეულ ერთეულად არჩეულია ნებისმიერი ინფორმაცია ან სხვა ჟანრის პუბლიკაცია (ყოველი სამშაბათი დღის გამოშვებიდან), რომელიც შეეხებოდა რეფერენციას კონფლიქტის ისტორიაზე ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ურთიერთობებს მედიაში.

საზრისისეული ერთეულების კოდირების მიზნით შედგენილ იქნა კოდირების ბარათი. რომელიც ახდენდა ისტორიული რეფენეციების კატეგოირიზაციას შემდეგი მიმართებების მიხედვით:

წყარო:

თარიღი:

სათაური:

1. მიმართება წარსულთან

ა) არის

ბ) არ არის

2. ისტორიული ურთიერთობა

ა) ძმობა

ბ) მტრობა

გ) სხვა ძალის მიერ წაქეზებული ურთიერთობა

3. მედიაში ხილული ისტორიული პერიოდი

ა) მე-19 საუკუნემდე

ბ) მე-20 საუკუნის 20-იანი წლები/გასაბჭოება

გ) საბჭოთა კავშირი

დ) 1990-იანი წლები

კოდირების ბარათის მიხედვით, მთლიანობაში გაანალიზდა 223 მედიური ნიმუში. აქედან 1990 წლის დეკემბრიდან 1991 წლის ნოემბრის ჩათვლით - 190 (85,21%), ხოლო 2019 წლის იანვრიდან-მაისის ჩათვლით - 33 (14,80%) მედიური ნიმუში. მედიაში წარმოდგენილი მასალიდან 80 ერთეულში (დაახლოებით 36 %) საუბარია აფხაზეთზე (კოდური სიტყვები : აფხაზეთი, აფხაზი, სოხუმი, გალი, ოჩამჩირე... და ა.შ), ხოლო 167 ერთეულში (74.89%) ე.წ. სამხრეთ ოსეთსა ან ცხინვალის რეგიონზე (კოდური სიტყვები: ე.წ. სამხრეთ ოსეთი, სამაჩაბლო, ცხინვალი, შიდა ქართლი, ოსი და ა.შ). ორივე რეგიონში შექმნილ სურათს შეეხებოდა 23 (10,32%) მედიური ნიმუში.

საკვლევი თემის მიზნიდან და კოდირების ბარათის კატეგორიებიდან გამომდინარე, კვლევის ფოკუსში მოვაქციე სამი ძირითადი ასპექტი: 1) მიმართება წარსულთან, რომლის მიხედვითაც ვასკვნიდი, კონკრეტულ მედიანიმუშში იყო თუ არა რაიმე ნიშანდობლივი სიტყვით ან სხვა დისკურსული სტიმულით გადმოცემული კავშირი ისტორიულ წარსულთან; ასეთი მიმართების დაფიქსირების შემდეგ ვაკვირდებოდი შემდეგ ასპექტს: 2)აფხაზებსა და ქართველებს, ოსებსა და ქართველებს შორის არსებული ისტორიული ურთიერთობა - წარმოჩენილი იყო ძმობა, მტრობა, თუ სხვა ძალის მიერ წაქეზებული ურთიერთობა; და 3) მედიაში ხილული ისტორიული პერიოდი, თუ რამდენად ღრმად მიდიოდა ისტორიულ წარსულში მედია. მოყვანილი ისტორიული ფაქტები მოგვითხრობდა მე-19 საუკუნის ჩათვლით პერიოდს; მე-20

საუკუნის 20-იანი წლები/ გასაბჭოებას; საბჭოთა პერიოდს; თუ 1990-იანი წლებს.

2.2. განხილვა, ანალიზი და კვლევის ძირითადი მიგნებები

განხილული მედიური ტექსტებიდან მიმართება წარსულთან ფიქსირდება 159 მედიურ ნიმუშში. აქედან პირველ დროით ჩარჩოში - 1990 წლის დეკემბრიდან 1991 წლის ნოემბრის ჩათვლით 139 (87,42%) სტატია, საიდანაც 49 (35.26%) სტატია წარმოადგენს ისეთი ტიპის ახალ ამბებს, განცხადებას ან მიმართვას, რომელიც ისტორიულ სიღრმეებში არ მიდის.

1990 წლის დეკემბრიდან 1991 წლის ნოემბრის ჩათვლით პერიოდში იმ მედიური ნიმუშების მიხედვით, რომლებშიც მიმართება წარსულთან ფიქსირდება, ისტორიული ურთიერთობა - ძმობა გამოიკვეთა 21 (23.34 %) სტატიაში. ისტორიული ურთიერთობა - მტრობა გამოიკვეთა 24 (26.67%) მედიურ ტექსტში. ხოლო ისტორიის მაგალითზე სხვა ძალის მიერ წაქეზებული ურთიერთობა გამოიკვეთა 56 (62.23%) სტატიაში. დაფიქსირდა ასევე სტატიები, რომლთა შინაარსში ქართველების მხრიდან ძმობა, თუმცა ეთნიკური/ეროვნული უმცირესობების მხრიდან მტრული ურთიერთობა, ღალატი/„საქართველოს მტერთან კავშირი“ მოსჩანს. სხვა ძალაში ძირითადად იგულისხმება რუსეთი სხვადასხვა ისტორიული პერიოდის შესაბამისი სახელწოდებით. მაგ: „საბჭოთა კავშირი“, „ბოლშევიკები“, „იმპერიული რუსეთი“, „ცარისტული რუსეთი“, „ცენტრი“, „კრემლი“, „მოსკოვი“ და ა.შ. ასევე, როდესაც საუბარია ოპოზიციურ ძალებზე, მათთანაც პარალელი გავლებულია რუსეთთან, რადგან როგორც „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ ნმედიური ნიმუშებშის უმეტესობაშია წარმოდგენილი, მათ ამოძრავებთ პიროვნული ამბიციები

და მასთან ერთად შეკრულნი არიან საქართველოს და საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლების, პრეზიდენტის (ზ. გამსახურდიას) მტერთან.

რაც შეეხება პირველ დროით ჩარჩოში მედიაში ხილულ ისტორიულ პერიოდს, განხილული მედიური ტექსტების მიხედვით ასეთი შედეგია:
ა) მე-19 საუკუნის ჩათვლით ისტორიულ პერიოდს შეეხებოდა 17 (18.89%) სტატია;
ბ)მე-20 საუკუნის 20-იანი წლები/გასაბჭოება ისტორიულ პერიოდს - 23 (25.56%) ;
გ) საბჭოთა კავშირი ხილული იყო 24(26.67 %) მედიურ ტექსტში;
დ) 1990-იანი წლები , ანუ მიმდინარე პერიოდია წარმოჩენილი და არა ისტორიული მაგალითები 43 (47.77 %) სტატიაში.

რაოდენობრივი მაჩვენებლების პარალელურად განვიხილავ ისეთ სტატიებს, რომლებშიც გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ ისტორიულ სიღრმეებში მიდის და ისტორიულ ფაქტებსა თუ მოსაზრებებს გადმოსცემს. ნიშანდობლივი სიტყვების ან ციტატების მიხედვით, მათი ქვეტექსტისა თუ პირდაპირი მნიშვნელობის გაშიფრვით შევეცდები განვიხილო ის მედია „შეტყობინებები“, რომელთაც გაზეთის რედაქცია კონფლიქტში ჩართული მხარეების მისამართით აგზავნიდა და ასევე პასუხს სცემდა, ძირითადად „რუსულ დეზინფორმაციას“. ეს უკანასკნელი კი, როგორც მედიურ ტექსტებში იკითხება, საკმაოდ ძლიერ ნარატივს წარმოადგენდა. რაც მიმდინარე პოლიტიკურ პროცესების (იგულისხმება საქართველოს გამოყოფა საბჭოთა კავშირიდან) პარალელურად, თავისთავად ისტორიული კონტექსტის შეცვლასაც გულისხმობს (რუსული მედია საშუალებების მიერ ქართველებსა და ოსებთან მიმართებაში ისტორიის თავის ვარიანტის გავრცელება), რასაც ქართული მედია, კერძოდ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ ეხმაურებოდა და რუსულ მედია საშულებებს და ჟურნალისტებს დეზინფორმაციასა და ისტორიული ფაქტების უგულებელყოფაში ამხელდა. პირველ რიგში განვიხილავ 1990 წლის დეკემბრიდან 1991 წლის ნოემბრის ჩათვლით დროით ჩარჩოს, კონკრეტული მაგალითების მოყვანით გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მიდგომას ქართულ-აფხაზურ და

ქართულ-ოსურ ისტორიულ ურთიერთობების წარმოჩენისას. ასევე თუ რამდენად ღრმად მიდის ის კონფლიქტის ისტორიული საწყისის განხილვისას.

ნიშანდობლივი სიტყვები და მიმართებები სხვადასხვა კოდურ სიტყვებთან ასეთია: სამაჩაბლო, ცხინვალი, ისტორიული შიდა ქართლი, აფხაზეთი, აფხაზი. აღსანიშნავია ასევე ის ფაქტიც, რომ აფხაზეთი ცალსახად ქართულ მიწად იგულისხმება, ასვე თუ ოსი ისტორიულ შიდა ქართლში, სამაჩაბლოში, ცხინვალში ხიზანია, აფხაზეთში აფხაზი ხალხი მკვიდრია, ისევე როგორც ქართველი. რაც შეეხება მიმართებებს : ოსები- ალანები, „მოძმე ერი“, „ჩვენი სტუმრები“, „მტრადქცეული მოყვარენი“, „ქართულ მიწას დახამებული, გათავხედებული სტუმართა ურდოები“, „უმადური ხიზნები“, „დაღლილი, ძალაგამოცლილი, შიმშილით, სიცხით, სიცივით, ტირილით დაქანცული უმიწო, უსახლკარო, სამათხოვროდ ხელგამოწვდილი; დაოსებული ხალხი“. აფხაზები- „საქართველოს მკვიდრი ერი“, ქართველები- ლტოლვილად ქცეულნი საკუთარ სამშობლოში და ა.შ.

რაც შეეხება ნიშანდობლივ ციტატებს, ისინი მრავლადაა. კველვაში წარმოვადგენ მათ ნაწილს, რომლებიც ვფიქრობ, ნათლად წარმოადგენს საერთო სურათს. ქვემოთ მოყვანილი ციტატები და მოკლე ნაწილები განხილული მედია ნიმუშებიდან წარმოაჩენს, თუ როგორი ურთიერთმიმართებაში და ურთიერთკავშირში არიან წარმოდგენილი ქართველები, აფხაზები და ოსები და ის ისტორიული პერიოდები, რომლის მიხედვითაც განხილულია ე.წ. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში განვითარებული მოვლენების ისტორიული მიზეზები. კონკრეტულ ციტატებს და მედიური ტექსტების ფრაგმენტებს წარმოვადგენ ნუმერაციით, რათა ერთმანეთისგან იყოს გამოყოფილი თითოეული სტატიის შინაარსი.

1) „საქართველოში მცხოვრები ოსები“; „...ოს და ქართველ ხალხებს შორის ძმათანკვლელი ომი“; „...ჩვენ დამღუპველად მიგვაჩნია ოსი ხალხისათვის ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ელქის არსებობა საქართველოს ტერიტორიაზე, ისტორიულ შიდა ქართლში“; „საქართველოში ოსეთი არ არსებობს, არსებობს

მხოლოდ ოსური დასახლებები“ - ვკითხულობთ ოსი ახალგაზრდობის კავშირი „ირ“ის მიმართვაში მ.ს. გორბაჩოვს და გ. გუმბარიძესადმი. (საქართველოს რესპუბლიკა, 1990, 11 დეკემბერი).

2) . „...ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობისა და მისი ისტორიის უგულებელყოფა“- ვკითხულობთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეის ბატონ ზვიად გამსახურდიას ისტორიული შიდა ქართლის ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ქართველი მოსახლეობის მიმართვაში (საქართველოს რესპუბლიკა, 1990, 11 დეკემბერი).

3) „...ასე მრავლად შეიძლება ჩაითვალოს ძეგლთა სავალალო მდომარეობა ცხინვალსა და ლენინგორის რაიონებში. ამიტომ, ვიდრე გვიან არ არის, მივხედოთ ქართული კულტურის უსიტყვო მემატიანეებს“ – ესაა სიტყვები სტატიიდან , რომელიც 1984 წლის ექსპედიციის შემდეგაა დაწერილი, მაგრამ მხოლოდ 1990 წელს გამოქვეყნდა გაზეთში („საქართველოს რესპუბლიკა“, 1990 წ. 11დეკემბერი). სტატიას თან ახლავს რედაქციის წერილი, რომელიც ჩემი აზრით კარგად წარმოაჩენს რედაქციის პოლიტიკას ე.წ. სამხრეთ ოსეთის საკითხის გაშუქებისას. „რედაქციისგან: წერილში მოყვანილი ფაქტები ნურავის გააკვირვებს, სხვაგვარი მოპყრობა ქართული კულტურის ძეგლებისადმი ხელოვნურად შეკოწიწებულ „სამხრეთ ოსეთში“ არც უნდა მოვითხოვოთ. საქართველოს ამ ძირძველ მიწაზე საბჭოთა სინამდვილეში ჩამოსახლებულ სხვა ეროვნების, ამ მიწის არამკვიდრი მოსახლეობისგან რას უნდა მოველოდეთ ქართველებიც ვერ პატრონობენ ძეგლებს, რადგან მათ თავიანთი თავი გასჭირვებიათ. თავიანთი პიროვნული და ეროვნული უფლებების დასაცავად უხდებათ ბრძოლა. ეს უფლებები კი წარმოუდგენლად ილახება ჩვენს სამაჩაბლოში - მტრის, დამპყრობლის მიერ „სამხრეთ ოსეთის ავტონომიად“ მონათლულში“. (საქართველოს რესპუბლიკა, 1990, 11დეკემბერი). როგორც ვხედავთ გაზეთის რედაქცია სეპარატისტულად განწყობილ ტერიტორიას ისტორიული ქართული სახელწოდებით „სამაჩაბლოდ“ მოიხსენიებს და მას „ქართულ ძირძველ მიწას“

უწოდებს, ოსებს კი საბჭთა პერიოდში ჩამოსახლებულ, „ამ მიწის არამკვიდრ“ მოსახლეობას. ამგვარად „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ოსებს იმ ტერიტორიასთან, სადაც ახლა სახლობენ ისტორიული კავშირი საბჭოთა პერიოდამდე არ გააჩნდათ, შესაბამისად ამ მიწის მითვისებაც მათი მხრიდან ისტორიულად გაუმართლებელია.

4) „... ჩრდილო ქართლში, რუსეთის მხრივ 1922 წელს საქართველოს ტერიტორიის ანექსიის პირობებში ძალადობით დაარსებულ ეგრეთწოდებულ „სამხრეთ ოსეთის სვტონომიურ ოლქში“ უხეშად ირღვევა მკვიდრი მოსახლეობის- ქართველების ადამიანური უფლებები“; „ ცალკე უნდა გამოიყოს ცხინვალის ქართული თეატრი, რომელის ასაკი ას წელზე მეტია, ხოლო ოსური დასი მთავრობის დადგენილებით დაარსდა 1981 წელს“. - „სამაჩაბლოს სამკვიდროს დაცვის საზოგადოების“ მიმართვა ჯერ კიდევ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს, საპარლამენტო კომისიას, რომელიც იკვლევდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსის საკითხს (საქართველოს რესპუბლიკა, 1990, 11 დეკემბერი)

5) „ცნობილია, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ბოლშევიკების მიერ ხელოვნურად შეკოწიწებულია და მას სამართლებრივი სტატუსი არ გააჩნია. ისტორიულ სინამდვილეში ამ რეგიონის აბორიგენულ მოსახლეობას ქართველები წარმოადგენდნენ…” - გივი გორცვაძის „საქართველოს რესპუბლიკის“ კორესპოდენტის სტატია სათაურით „როდის გამოვა ოსეთში ქართული გაზეთი?“ (საქართველოს რესპუბლიკა, 1990 , 18 დეკემბერი)

6) „...გააუქმონ თავისი საოლქო განყოფილება და შექმნან ჟურნალისტთა სამაჩალოს რეგიონალური ორგანიზაცია, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ტრადიციული მეგობრული ურთიერთობის აღდგენას და განმტკიცებას“- ვკითხულობთ საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის სამდივნოს მხრიდან ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე მომუშავე ჟრნალისტებისადმი მოწოდებაში (საქართველოს რესპუბლიკა, 1990, 18 დეკემბერი). აქ ნათლად ჩანს

კავშირის წევრ ჟურნალისტთა დამოკიდებულება ქართულ-ოსური დაძაბული ურთიერთობის გაშუქებისას. მიმართვაში ხაზია გასმული ქართულ-ოსური ტრადიციული ურთიერთობის აღდგენაზე, რაც ჩემი აზრით ჟურნალისტთა მხრიდან ერთგავრ „შემარიგებელ“ ჟესტს წარმოადგენდა.

7) „...ერთმანეთის გვერდით საუკუნეთა მანძილზე შვიდობიანად და ეგობრულად მცხოვრები ორი ხალხი...“; „ჩემთვის ძვირფასი და ახლობელია ოსიცა და ქართველიც. ტყვიას ვერ ვესვრი ვერც ოსსა და ვერც ქართველს. მაგრამ არაფერს დავიშურებს იმათ გამოსავლენად, ვინც წყალს ამღვრევს, ვისაც ქართველებისა და ოსების დაპირისპირებით თავისი ავანტიურისტული, კარიერისტული მიზნების მიღწევა აქვს განზრახული“. - ესაა თემურ ვოიევის ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შინაგან საქმეთა სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსის სიტყვები. (საქართველოს რესპუბლიკა, 1990, 18 დეკემბერი)

8) „ბავშვობიდან კარგად მახსოვს ცხინვალში არსებული მეგობრული ატმოსფერო, აქ არასდროს არავითარი დაპირისპირება არ ყოფილა“. - ცხინვალის მკვიდრის ავთანდილ გოგიძის სიტყვები (საქართველოს რესპუბლიკა, 1990, 25 დეკემბერი).

9) „საქართველო ისეთი ქვეყანაა, სადაც ტრადიციულად მშვიდობიანად ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები...“- ზვიად გამსახურდია.(საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 1 იანვარი)78

10) „აფხაზები ახალი წლის წინა დღეს ამზადებდნენ საჭმელსა და სასმელს, დაკლავდნენ ძროხას ან თხას და იმდენ მამალს, რამდენიც ოჯახში მამრობითი სქესის სული იყო. ახალ წელიწადს ერთმანეთს ესტუმრებოდნენ“. (საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 1 იანვარი) ვკითხულობთ სტატიაში -„როგორ ხვდებოდნენ ახალ წელს საქართველოში“, სადაც ქვეყნის სხვა კუთხეებან ერთად საუბარია აფხაზეთზე,

მის ტრადიციაზე და ის მოყვანილია, როგორც საქართველოს შემადგენელი, განუყოფელი ნაწილი.

11) „...საქართველოს რესპუბლიკას წაართვან მისი ოდინდელი ტერიტორია, რომლის შენარჩუნებისთვისა ქართველი ხალხი 2000 წელზე მეტხანს იბრძოდა“ ; „მოგეხენეათ შიდა ქართლში ოსთა ნაწილის მათი ისტორიული სამშობლოდან - ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლების ისტორია. იცით ისიც, რომ ავტონომიური ოლქი ხელოვნურად შეიქმნა საქართველოს ინტერვენციისა და ოკუპაციის შემდეგ, რაც განხორციელდა საბჭოთა რუსეთის მაშინდელი მთავრობის ბრძანებითა და ი. სტალინისა და ს. ორჯონიკიძის აქტიური მონაწილეობით, რომლებიც არ მოერიდნენე იმას, რომ ოლქის საზღვრებში მოექციათ აგრეთვე ქალაქი ცხინვალი ათობით სოდელი მკვიდრი ქართველი მოსახელობითურთ“; „ეს ოდინელი ქართული მიწა-წყალია, რომლის წართმევას ქართველი ხალხი არასოდეს არ შეურიგდება...“; „ამ აქტმა არა მარტო ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოუღოს სეპარატისტულ მოქმედებას, არამედ აღადგინოს კიდეც ისტორიული სამართლიანობა“ (იგულისმხება ოლქის გაუქმება) - ვკითხულობთ ზ. გამსახურდიას გორბაჩოვისადმი მიმართვაში. (საქართველოს რესპუბლიკა,1991, 15 იანვარი)

12) „ჩემთვის და ჩემი შვილებისთვის სამშობლო მხოლოდ საქართველოა“; „...გაჭირვების ჟამს შეგვიფარეს, დაგვაპურეს“; „...განა არ იცით, რომ შიდა ქართლი საქაღთველოს განუყოფელი ნაწილია“; „განა ძმათა შორის სისხლის დაღვრას ისტორია გვაპატიებს?“ - ლ.ხუბაევა ოსი მოქალაქე. ((საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 15 იანვარი)

13) „...თქვენი უმადურობა მოძმე ქართველების მიმართ“; „ქართულ ძირძველ მიწაზე მოკალათებულებმა, საქვეყნოდ გამოაცხადეთ - ჩვენ რუსული ენა გვინდაო“; „დღევანდელ ქართველთა სულმნათმა წინაპრებმა კავკასიის მაღალი მთის კალთებიდან ბარში ჩამოგიყვანეს, დაგასახლეს, ცხოვრების ყველა პირობა შეგიქმნეს და მაინც ვერ ხედავთ, სიკეთეს ბოროტებით უხდით“; „ოსი ხალხის სახელს

ამოფარებულები“ (იგულისხმება ოსი სეპარატისტები-ჩემი); „ქართლ-კახეთში და საერთოდ საქართველოში ასი ათასზე მეტი ოსი ვცხოვრობთ ქართველებთან ერთად, გვაქვს ძმობა, მეგობრობა, ნათესაობა, ვლოცულობთ ერთ სალოცავში. [.....] ... თქვენ კი ქართულ ძირძველ მიწას გადამთიელს სთავაზობთ. ისტორიამ ბევრი უხამსი მოქმედება იცის....“ -ვკითხულობთ გაზეთში გამოქვეყნებულ 1990 წლის 14 იანვარს ჩატარებული ორგანიზაცია ლემის და ქართლში მცხოვრები ოსი მოსახლეობის მიტინგზე ოსი ექსტრემისტების მისამართით გამოქვეყნებულ მიმართვაში. (საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 22 იანვარი)

14) „კონფლიქტის ისტორიული და სამართლებრივი ფესვების პატიოსანი და ობიექტური მიდგომის გარეშე შეუძლებელია ობიექტური შეფასება მისცე ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შექმნილ ვითარებას“; „ავტონომიური ოლქოს არსებობს მთელი ხნის მანძილზე ამ ტერიტორიაზე (ეწ. სამხრეთ ოსეთი- ჩემი) მიმდინარეობდა ქართველი ხალხის უხეში დისკრიმინაცია. ყოველივე ამას თანმიმდევრულად და მიზანმიმართულად ახორციელებდა კრემლი საქართველოს ყოფილ მარიონეტულ ხელისუფლებთან ერთად“ - ესაა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესცენტრის განცხადება გაზეთ „კომერსანტში“ 1991 წლის 26 იანვარს გავრცელებულ ინფორმაციის საპასუხოდ. ((საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 29 იანვარი)

15) „...ისტორიულ სამშობლოში-ჩრდილოეთ ოსეთში დაბრუნება“ (ოსების -ჩემი)... „თვისტომი გთხოვთ მოიგონოთ თქვენი ისტორიული ვალი და ისიც გაითვალისწინოთ, რომ საქართველომ კარგად იცის თქვენი ბრძოლისა და ქართული ფუძის არმოშლის მოწამეობრივი მოთმინების ფასი“ - საზოგადოება თვისტომის მიმართვა სამაჩაბლოელი ქართველების მისამართით ((საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 29 იანვარი).

16) „ჩვენ გამოვხატავთ პროტესტს იმის წინააღმდეგ, რომ ცდილობენ ძალადურად მოსწყვიტონ საქართველოს შიდა ქართლის ისტორიული პროვინცია და იქ გააჩაღეს

ძმათამკვლელი ომი“; „სამხრეთ ოსეთს ეროვნულ -სახელმწიფოებრივი ერთეული შეიქმნა ოდინდელ ქართულ მიწაზე 1921 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ძალადური გასაბჭოებისა და ფაქტობრივი ანექსიისთანავე“; - წერია საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრების სსრ კავშირის უზენაესი საბჭოსადმი მიმართვაში ((საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 19 თებერვალი).

17) „ცენტრის გეგმა სამაჩაბლოს ჩამოცილებაა საქართველოდან“ - ზ. გამსახურდია ((საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 26 თებერვალი).

18) „...(ოპოზიციურად განწყობილი ძალების მისამართით-ჩემი) საქართველოში მცხოვრები მტრულად განწყობილი უცხო ერების წარმომადგენლებთან ცდილობენ დანაშაულებრივ დაკავშირებას და მათი მეშვეობიტ საკუთარი ხალხის დამარცხებას. არც ეს არის „უცხო ხილი“ ქართული ჟამთაღრიცხვისთვის, საკმარისია გავიხსენოთ დაუდხანი და კონსტატნტინე-მირზა, ციციანოვი და ორჯონიკიძე, და ბევრი მათი მინამსგავსი რენეგატი, რომელთაც პირადი განდიდებისათვის უცხო ლაშქარი აუმხედრებიათ მშობელი ერის წინააღმდეგ“; „საქართველოს უახლესი ისტორიიდან ცნობილია, როდესაც „ბოლშევიკებმა“ ქართულ მოსახლეობაში დასაყრდენი ვერ ჰპოვეს, მოღალატური კავშირი შეკრეს საქართველოში მცხოვრები უცხო ერების მტრულად განწყობილ ნაწილთან, რომლებიც შემდგომ ქართველი ერის წინააღმდეგ გამოიყენეს თავიანთი ვერაგული მიზნების განსახორციელებლად“. - ესაა ამონარიდი სტატიიდან „ბაზალეთის ომის მედროშენი“ . წყარო სოსო ჯაჭვლიანი 23 თებერვალი ((საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 26 თებერვალი)აღსანიშნავია ასევე, რომ სტატიას წინ დართული აქვს კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვები -„მტრადქეული მოყვარე უფრო სახიფათოა, ვიდრე ოდითგან მოძულებული მტერი“.

19) აღსანიშნავია 1991 წლის 26 თებერვლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამოშვებაში დაბეჭდილი სტატია - „საქართველო და ოსეთი“, რომელიც „არჩილ ჯორჯაძის საზოგადოების“ არქივიდან ამოღებულ მასალას წარმოადგენს და რომელშიც გადმოცემულია „ქართლის ცხოვრებაში“, „კირიონიში“ და ალექსანდრე

ყაზბეგის შემოქმედებაში, კერძოდ თხზულებაში „ხევისბერი გოჩა“ წაროჩენილი ქართველთა და ოსთა ურთიერთობები ისტორიის სხვადასხვა პერიოდიდან. ასევე ოსი ხალხისთვის ხასიათის დამახასიათებელი თვისებები. „ქართლის ცხოვრებიდან“ მოყვანილია მე-5 საუკუნის ისტორიული მოვლენა, კერძოდ მეფე ვახტანგ გორგასლის ბრძოლას ოსებთან და ხაზარებთან. 15 წლის მეფე ვახტანგი ჯერ ამარცხებს „ხაზართა გოლიათს„ შემდეგ „ოსთა გოლიათს, ბაყათარს“. ბაყათარის სიკვდილის შემდეგ, ვახტანგ მეფემ, როგორც სტატიაშია გადმოცემული „....მოადგა კუალად ოვსეთსავე და მაშინ მეფე მან ვახტანგ ტყუე-ყვნა იგი ოვსნი“.

შემდეგ მოყვანილია მოკლე ნაწილის წიგნიდან „ საქართველოს ისტორიისა და ექზარქატის ისტორიის მოკლე ნარკვევი“. კერძოდ მე-18 საუკუნეში ქართველთა საგანმანათლებლო მუშაობაზე ოსებში : „ოსებს შორის დიდი საგანმანათლებლო მუშაობა გასწია გაიოზ რექტორმა (ნაცვლიშვილ-ერთი ეკლესია-მონასტერი, ახლად დაარსებული სკოლისა და აღსაზრდელებისათვის მოიწვია ისეთი ძლიერი პედაგოგები, როგორიც იყო მოსკოვის ბერძნულ-ლათინურ-სლავური აკადემიის კურსდამთავრებული იოანე ჭილაშვილი.

გაიოზ რექტორმა სათავე დაუდო ოსურ ანბანს, რომლის საფუძვლად აიღო საეკლესიო-სლავური ასოების მოხაზულობა, ხოლო ოსური ენისათვის დამახასიათებელ ზოგიერთ ბგერათა გამოსახატავად მოიგონა ახალი ასოები, ორი ან სამი სლავური ასოს შერწყმით“.

სტატიაში ასევე მოყვნილია მე-19 საუკუნის ამსახველი ინფორმაცია, კერძოდ ნარკვევი ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებიდან „ხევისბერი გოჩა“, რომელშიც როგორც სტატიაში ვკითხულობთ „ძირფესვიანად არის ასახული ოვსთა მოღალატეობრივი ბუნება“. მაგ: „სიტყვა არ უნდა, რომ ოსებს გულით უნდოდათ გადახდევინება იმ ხალხისა, რომელიც მათსა და ქისტეთს შუა სოლსავით შეჭედილიყო და დამეზობლებულ ხალხთათვის საშუალება მოესპო გადაუხდევინებლად საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს დასცემოდა.

ოსებს უნდოდათ გასრესა იმ ხალხისა, რადგანაც შუაში შეჭრილი ყოველმხრივ მტერ

შემორტყმული თვალშეუწყვეტლივ იცავდა საქართველოს ალაყაფის კარს და მარჯვნივ თუ მარცხნივ მამულის სადიდებლად ბასრ გორდას იქნევდა....[...].... ამ ბრძოლის შემდეგ ისინი იმედობდნენ, რომ ფართო ასპარეზი დარჩენოდათ თავისუფალის ავაზაკობისათვის“... (საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 26 თებერვლი)

20) თემის ფარგლებში საინტერესოდ მიმაჩნია გაგიზიაროთ სტატიის ნაწილლი, რომელშიც ზვიად გამსახურდია მიმართავს აფხაზ ხალხს. ამით ის ცდილობს აფხაზთა თანადგომის მოპოვებას ქვეყნის დამოუკიდებლობის საკითხში. აღსანიშნავია, რომ სწორედ საერთო ისტორიული წარსულის, ქართველთა და აფხაზთა ერთად ბრძოლით მიღწეული შედეგების და ქართველ მოღვაწეთა აფხაზი ხალხის ისტორიის, ენის და კულტურის საკითხში განხორციელებულ ისტორიული მნიშვნელობის ნაბიჯების შეხსენებით მოუწოდებს მათ არ აყვნენ „ქართველთა და აფხაზთა საერთო მტერს“.

„ძვირფასო თანამემამულენო!

აფხაზთა და ქართველთა ძმობა უხსოვარი დროიდან იწყება. ჩვენი საერთო კოლხური წარმოშობა, გენეტიკური ნატესაობა ჩვენს ხალხებსა და ენებს შორის, საერთო ისტორია, საერთო კულტურა გვავალებს დღეს დიდ დაფიქრებას ჩვენი ხალხების მომავალ ბედ-იღბალზე. ჩვენ ერთ მიწა-წყალზე ვცხოვროდით მუდამ და ურთიერთის ჭირ-ვარამს ვიზიარებდით. ჩვენ საერთო სამეფო გვქონდა საუკუნეთა განმავლობაში. ერთ ტაძარში ვლოცულობდით და ერთ ბრძოლის ველზე ვიბრძოდით საერთო მტრების წინააღმდეგ.

   უძველესი აფხაზური გვარების წარმომადგენლები დღესაც არ ასხვავებენ ურთიერთისგან აფხაზსა და ქართველს. აფხაზთა მთავრები, შერვაშიძეები, საკუთარ თავს არა მხოლოდ აფხაზ, არამედ ქართველ თავადებსაც უწოდებდნენ, ქართული ენა აფხაზურთან ერთად მათთვის დედა ენა იყო, ისევე როგორც იმჟამინდელი აფხაზი მწერლებისათვის. ვეფხისტყაოსნის კულტურა გვაკავშირებდა ჩვენ და უძველესი ქართული ტაძრები ძველი ქართული წარწერებით დამშვენებულნი დღესაც რომ დგანან აფხაზეთში და ხიბლავენ მნახველს, ჩვენს შორის ძმობის სიმბოლოდ იყო

გადებული თამარის ხიდი მდინარე ბესლეთზე, სოხუმის მახლობლად, დღესაც რომ ამშვენებს უძველესი ქართული წარწერა. ბედია და მოქვი, ამბარა, ბიჭვინთა და მრავალი სხვანი მოწმენი არიან ამ ძმობისა, ამ ერთობისა.

აფხაზი მუდამ ამაღლებული, რაინდული კეთილშობილების სიმბოლო იყო ქართველის ცნობიერებაში. ამას მოწმობს აკაკის „გამზრდელი“ სხვა მრავალი შედევრი ქართული მწერლობისა. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ სწორედ ქართველმა მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ გაუთქვა სახელი მთელს ქვეყანაზე აფხაზურ კულტურას და ყოფას, აფხაზი ხალხის გმირობას და კეთილშობილებას თავისი „მთვარის მოტაცებით“. ქართველმა მეცნიერებმა - ნიკო მარმა, არნოლდ ჩიქობავამ, ქეტევან ლომთათიძემ გადამწყვეტი როლი შეასრულეს აფხაზოლოგიის დაფუძვნებაში, აფხაზური ენის გრამატიკის სისტემატიცაზიის საკითხში, ქართველმა ისტორიკოსებმა : ივანე ჯავახიშვილმა, სიმონ ჯანაშიამ, ნიკო ბერძენიშვილმა და სხვებმა კი -აფხაზეთის ისტორიის საკვანძო საკითხების კვლევაში, ხოლო აფხაზები ყოველთვის დიდ როლს თამაშობდნენ ჩვენი საერთო სამეფოს განმტკიცებასა და კულტურულ აღმშენებლობაში.

ჩვენ მრავალი იმპერიის შემოტევას გავუძელით, ჩვენი ძმობა და მეგობრობა ვერ შეარყიეს ვერც რომაელებმა, ვერც ბიზანტიელებმა, ვერც არაბებმა, ვერც თურქებმა და ვერც სხვებმა, მაგრამ აი, მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეში, ჩვენ დაგვიპირისპირდა იმპერიათა შორის უვერაგესი და უბოროტესი - რუსეთის იმპერია, რომელმაც არნახული უბედურება მოუტანა ჩვენს ხალხებს. რუსეთის იმპერიამ თურქეთში გადაასახლა აფხაზი ხალხის დიდი ნაწილი, მანვე გააუქმა აფხაზეთის სამთავრო, გააუქმა საქართველოს სამეფო და მიზნად დაისახა ჩვენი ხალხების სრული ასიმილაცია და მოსპობა. მან დაინახა, რომ ამას ვერ განახორციელებდა მხოლოდ სისხლიანი რეპრესიებით და გენოციდით, ამიტომ გამოიყენა ყველა იმპერიის ნაცადი ხერხი „დივიდე ეტ იმპერა“- გათიშე და იბატონე და ყოველგვარ ღონეს ხმარობდა აფხაზი და ქართველი ხალხების ურთიერთდასაპირისპირებლად. თუმც მიუხედავად ამისა, როგორც ამას აღნიშნავდა თვით ნესტორ ლაკობა, ცარიზმმაც კი ვერ შეძლო

აფხაზებსა და ქართველებს შორის შუღლის ჩამოგდება, მაგრამ დღევანდელმა მოდერნიზებულმა კომუნისტურმა იმპერიამ საუბედუროდ მიაღწია ამას თავისი აგენტურის მეშვეობით, რაც მისი გეგმით დასაწყისი უნდა გახდეს კავკასიის ბალკანიზაციისა და ლიბანიზაციისა, რათა ცენტრმა შეინარჩუნოს თავისი პოზიციები და ჰეგემონია კავკასიაში."

ამის შემდეგ მიმართვაში მიმოხილულია გორბაჩოვის პოლიტიკას, არძინბას გეგმებს და მოუწოდებს არ აყვნენ მათ პროვოკაციას. რუსეთს „ისტორიულ მტრებად" მოიხსენიებს. აფხაზეთი კი : „თვითმყოფად საქართველოში იარსებებს ჭეშმარიტი თვითმყოფადი აფხაზეთი, ჭეშმარიტი თვითმმართველობით, როგორც მას ჰქონდა აფხაზთა და ქართველთა ერთიანი სამეფოს არსებობის დროს საუკუნეთაგანმავლობაში".

ბოლოს ისევ აფხაზთა და ქართველთა ისტორიულად კეთილგანწყობილ ურთიერთობას უსვამს ხაზს - „გაუმარჯოს ჩვენს ისტორიულ ძმობას, ერთობას და დამოუკიდებლობას!" ჩემი აზრით ეს სტატია ნათლად წარმოაჩენს ჩემი კვლევისთვის საინტერესო სამივე ასპექტს. მასში მკაფიოდ ფიქსირდება მიმარტება წარსულთან, ქართველთა და აფხაზთა ისტორიული ურთიერთობა, რომელიც ცალსახად დადებით ჭრილშია წარმოდგენილია : „ გაუმარჯოს ჩვენს ისტორიულ ძმობას"; „ჩვენი ძმობა და მეგობრობა"; „აფხაზი მუდამ ამაღლებული, რაინდული კეთილშობილების სიმბოლო იყო ქართველის ცნობიერებაში" და ა.შ. აქვე იკითხება რუსეთის ინტერესები რეგიონში, რომელიც საკუთარი იტერესების შესაბამისად მოქმედბს და ძლიერი აგენტურის წყალობით ურთიერთობის გაფუჭებისკენ აქეზებს აფხაზ ხალხს. ამაზე მიუთითებს სიტყვები - „ცარიზმმაც კი ვერ შეძლო აფხაზებსა და ქართველებს შორის შუღლის ჩამოგდება, მაგრამ დღევანდელმა მოდერნიზებულმა კომუნისტურმა იმპერიამ საუბედუროდ მიაღწია ამას თავისი აგენტურის მეშვეობით...". რაც შეეხება მედიურ ტექსტში ხილულ ისტორიულ პერიოდს, აქ ხილულია მე-19, მე-20 საუკუნეები, რომელსაც მიმართვის ავტორი თავად უსვამს ხაზს, ხოლო ჩამონათვალში „...ჩვენი ძმობა და მეგობრობა ვერ შეარყიეს ვერც

რომაელებმა, ვერც ბიზანტიელებმა, ვერც არაბებმა, ვერც თურქებმა .....“ - მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული ისტორიული თარიღი არაა ნახსენები აქ უნდა ვიგულისხმოთ ძვ.წ. 65 წლიდან მოყოლებული, როდესაც რომაელები საქართველოში გამოჩნდნენ. ეს მიუთითებს ქართველთა და აფხაზთა მრავალსაუკუნოვან ურთიერთობაზე. (საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 12 მარტი)

21) 1991 წლის 19 მარტის გამოშვებაში დაიბეჭდა „საქართველოს რესპუბლიკის“ სპეც. კორესპოდენტის ვაჟა გურჩიანის სტატია - „ამაღამ, მგონი, იქნება სროლა“, რომელშიც მე-20 საუკუნის 20-იანი წლების პრესაში დაბეჭდილ ნეგატიურ საინფორმაციო ჯაშვზეა საუბარი. „გორის რაიონის სოფელ ნიქოზის შესახებ ხშირად იუწყებოდა 20-იანი წლების ქართული პრესა. შეესეოდნენ თუ არა ოსი ავაზაკები ლიახვის მარჯვენა ნაპირის სოფლებს, ნიქოზს უნდა დასცემოდნენ უპირველესად. ვებრი ყაჩაღი და კაცის მკვლელი ახსოვს ამ მხარეს, სალა-ოსი, კანი, ბისტი, ხარებოვი და ვინ მოთვლის კიდევ ვინ. შემდეგ ეგ იყო, სამაჩაბლოდან დაფრენილი ჩვენი ხალხის მოძულები ბოლშევიკებს, წითელ არმიას შემოჰყვნენ ისევ უკან და ქართველთა თავზე კვლავ ცოდვის კალო გამართეს. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ კი ერთგული სამსახური იმით დააფასა, რომ ამ ბოგანო ხალხს საჩუქრად ავტონომიური ოლქი მიართვა“. (საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 19 მარტი) ამ სტატიაში ოსების და ქართველების ძმური ურთიერთობა ნამდვილად არ ჩანს. ოსები „ჩვენი ხალხის (ქართველების-ჩემი) მოძულენი“ და ავაზაკებად არიან მოხსენიებული, რაც ქართველების მიმართ მათი მტრულად განწყობითაა განპირობებული. საქართველოში მათი შემომყვანად კი რუსები სახელდებიან.

22) „ქართველთა უნდობლობას ოსებისადმი ღრმა ფესვები აქვს, როდესაც წითელმა არმიამ დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო, ოსები ბოლშევიკებს მიემხრნენ და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ გამოვიდნენ. ამისთვის ოსები დააჯილდოვეს იმით, რომ ავტონომიური ოლქი უბოძეს საქართველოში იმ დროს, როდესაც რუსეთში არსებობს ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა“.- ეს არის „ნიუ-იორკ

ტაიმსის“ ჟურნალისტის ფრენსის კლაინის სიტყვები, რომელის ციტირებაც მოხდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“. (საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 2 აპრილი)

23) „ქართველი ისტორიკოსები აღიარებენ, რომ ოსებმა კავკასიის საზღვარი გადმოლახეს მე-17 საუკუნეში. ოსი მეცნიერები კი მე-12 საუკუნეს ასახელებენ. არის სხვა თეორიაც: თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ ოსები ალანთა ჩამომავლები არიან, რომლებიც თავის მხრივ სკვიტების ჩამომავლები იყვნენ, მაშინ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ოსები საქართველოში ყოფნის ათასწლეულებზე, რადგან საქართველოს ტერიტორიაზე ნახულია სკვითების სამარხები, რომელიც მე-9 საუკუნით თარიღდება“...[...]... „ამიტომ ოსები ცხოვრობენ ტავიანთ ტერიტორიაზე და მათ არავითარი სტუმრის სინდრომი არ აწუხებთ“ - მარინა შაკინას ეს სიტყვები „ადამონ ნიხასის“ მოამბედან არის სტატიაში წარმოდგენილი, წერია „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდილ სტატიაში სათაურით -„ძველი და ახალი სკვითები“ და მითითებულია, რომ მარინა შაკინა გვერდს უვლის ნამდვილ ისტრორიულ ფაქტებს „კერძოდ იმ აუცილებლებელ ჭეშმარიტებას, რომ სკვითები ამ პერიოდში ცხოვრობდნენ დნეპრისა და დონის სტეპებში, ეწეოდნენ მომთაბარეობას და აღწევდნენ მდინარე დუნაის აუზის რაიონებსაც“. როგორც ვხედავთ რუსულ პრესაში გავრცელებული ისტორიული ფაქტების გასაბათილებლად ისტორიაში უფრო ღრმად მიდის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია: „თუ ოსებს ნამდვილად სურთ თავიანთი ეთნოგენეზის გარკვევა, მათ საქართველოში არაფერი ესაქმებათ და თავიანთი კვლევა-ძიება ზემოთ აღნიშნული რეგიონებისკენ უნდა წარმართონ. კავკასიას კი ახსოვს ძვ. წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში სკვითების მიერ შევიწროებული კიმერიელებისა და შემდეგ თავად სკვითების გამანადგურებელი ლაშქრობები თანამედროვე ტუაფსე-სოჭის რაიონების გამოვლით და დერბენდის უღელტეხილთან“. (საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 2 აპრილი)

24) „სამაჩაბლოში, რომელიც საქართველოს განუყოფელი ნაწილია...“ –(საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 23 აპრილი)

25) „....მიწით გაჭირვებულ ქართველს მთიდან ჩამოსული ხალხი ესევა“.- სტატია სახელად „განსაცდელი“ ცნობილი პუბლიცისტის და საზოგადო მოღვაწის -არჩილ ჯორჯაძის კრებულის „სამშობლო და მამულიშვილობა“ ნაწყვეტია მოყვანილი. ზემოტ მოყვანილი ციტატა კი მის შინაარსს უსვამს ხაზს. აქ ასევე მნიშვნელოვანია რედაქციის მიერ თანდართული კომენტარი, რომელიც გაზეთის სარედაქციო პოლიტიკას წარმოაჩენს: „ის, რის შესახებაც გვაფრთხილებდა დიდი მამულიშვილი, სამწუხაროდ, ჩვენს დღეებში რეალობად იქცა. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს სამაჩაბლოში სადრეისოდ შექმნილი ვითარება, როცა ერთ დროს ხიზანი ოსი ექსტრემისტები ცენტრის წაქეზებითა და აშკარა მხარდაჭერით თავიანთი უძველესი მშობლიური კერიდან ერეკებიან ქართველ მოსახლეობას. ბედის უფრო მწარე დაცინვა უბრალოდ შეუძლებელია, ამის შემყურე არჩილ ჯორჯაძე ალბათ საფლავშიც გადაბრუნდება. გამოსავალი მხოლოდ ისაა, რომ ყურად ვიღოთ ჩვენი ძველების შეგონებანი, ერთი ასად მოვიკრიბოთ ძალა და გონიერება, ავლაგმოთ გათავხედებულ მომხდურთა ძალადობა, თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ ქართული მიწის ყოველ გოჯას, დროზე გამოვასწოროთ წარსულის მძიმე შეცდომები, არ გავცეთ ის, რისი გაცემასაც წინაპრები გვიკრძალავენ“. ეს ბოლო სიტყვები „წინაპრები გვიკრძალავენ“ რედაქციის მხრიდან პირდაპირ მოწოდებად შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოებისადმი „მოხდურთა ძალადობის“ (სამაჩაბლოში გაბატონებული დესტაბილიცაზიის განმაპირობებელი ძალების, ოსების, საბჭოთა ჯარის -ჩემი) წინააღმდეგ სამოქმედოდ, ან ამ პოზიციაზე მყარად დგომისთვის (საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 23 აპრილი).

26) „...კავკასიაში, სადაც მრავალი საუკუნეა გვერდიგვერდ ცხოვრობენ სხვადასხვა წარმომავლობისა და რელიგიის, მაგრამ ერთმანეთთან სულიერად და ტრადიციულად მჭიდროდ დაკავშირებული ხალხები“; „საქართველოს ტერიტორიაზე, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ 1921 წელს უკანონოდ შექმნილ ყოფილ ე.წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში“, რომელიც ისტორიული შიდა ქართლი გახლავთ, რესპუბლიკის ხელისუფლებასთან

შეუთანხმებლად შეყვანილია საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს დიდძალი ჯარები, რომლებიც პროკომუნისტურად განწყობილ ოს ექსტრემისტებთან ერთად არბევენ, ხოცავენ და აპატიმრებენ ქართველ მოსახლეობას...“ - ამ სიტყვებით მიმართავს ზვიად გამსახურდია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს პერეს დე კუელიარს, მსოფლიოს ხალხებსა და პარლამეტს (საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 30 აპრილი).

27) „მთელი სამაჩაბლო, ისევე როგორც მთელი საქართველო“...- ნანა ფრინელი ხაზს უსვამს, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორია ქართული ისტორიული სამაჩაბლოს ტერიტორიაა (საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 30 აპრილი).

28) „მსოფლიოს კარგად მოეხსენება და ისტორიიდან ვერავინ ამოშლის იმ ფაქტს, რომ ოსებმა ჩეჩენ-ინგუშების გენოციდის დროს მიიტაცეს ამ უძველესი ხალხის მიწები, დაეპატრონნენ სხვის სახლ-კარს და ახლა არა მარტო უარს ეუბნებიან ეზო-კარის კანონიერ, ისტორიულ მფლობელებს თავიანთი საკუთრების დაბრუნებაზე, ტავსაც ესხმიან, ემუქრებიან და, როგორც დამპყრობელს ახასიაღებს, „ამტკიცებენ“, რომ ჩეჩენ-ინგუშებს „ოსტა მიწებთან“ საერთო არა აქვთ რა. საინტერესოა, საიდან მოვიდა მშვიდობიან კავკასიურ მოსახლეობაში დამპყრობლური ოსური ფენომენი? რამდენ ხანს აპირებენ ოსები იმპერიული რუსის ჯარის იმედზე ყოფნას? ნუთუ ვერ ხვდებიან, რომ ადრე და მალე დაპყრობილი სხისი მიწების დათმობა მოუწევთ?“- ნათქვამის საზოგადოება „თვისტომის“ მიმართვაში (საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 30 აპრილი).

29)„...საქართველოს ერთადერთი „დანაშაული“ საქართველოში შემოფარებული ხიზნების წინაშე მათდამი პატივისცემა და გულმოწყალება იყო“; „დაღლილი, ძალაგამოცლილი, შიმშილით, სიცხით, სიცივით, ტირილით დაქანცული უმიწო, უსახლკარო, სამათხოვროდ ხელგამოწვდილი!...ასეთი დაამახსოვრდა ისტორიას, ჩვენი არს ისე დიდი ხნის წინათ ხიზნად მოსული ოსი“; „ ქართული მიწის ბარაქით, ქართული მასპინძლობის მადლით, ყურადღებიტ გამძღარი, დამშვიდებული,

იმედმოცემული დაოსებული ხალხი თანდატან წელში გაიმართა, მოფერიანდა, მომჯობინდა, გამედიდურდა და ახლა უკვე სამშობლოს გვართმევენ. თურმე მათი „მამულიშვილური“, „მოკრძალებული“ ოცნება მუდამ ყოფილა დიდი ოსეთის შექმნა საქართველოს ძირძველი მიწების ხარჯზე. ვინ მისცა მათ ასეთი განზრახვის საფუძველი? იოსებ ჯუღაშვილმა და სერგო ორჯონიკიძემ. მათ უბოძეს ოსებს საქართველოსგან განუყოფელი მიწა-წყალი, ქართველებით დასახლებული უძველესი ქართული სოფლები, მხარის მართვა-გამგეობის უფლება, პოლიტიკური ავტონომია...ოციან წლებში ადგილობრივ აღმსრულებელ ხელისუფლებას დავალებული ჰქონდა, რაც შეიძლება მეტი ოსი ჩამოესახლებინა ცხონვალში, რათა ასეთი გზით გაემართლებინათ ოსეთის ავტონომიის შექმნა ცენტრით ცხინვალში“; „სტალინმა „ოსეთის ავტონომიის“ შექმნით შესანიშნავი პოლიტიკურ-კრიმინალური შორსმჭვრეტელობა გამოიჩინა. მისი მოფიქრებული მექანიზმი, როგორც ვხედავთ, სამოცდაათი წლის შემდეგაც შეუფერხებლად მუშაობს “. - სტატია ეკუთვნის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტს გიორგი ნადირაძეს (საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 7 მაისი).

30) „აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია. იგი სამშობლოა, როგორც ქართველთა, ისე აფხაზთა“. - ზვიად გამსახურდია 1991 წლის 7 ივნისის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე. (საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 11 ივნისი)

31)„არასოდეს დაფიქრებულხართ იმ 160 ათას ოსის ბედზე, რომლებიც უოლქოდანც მშვენივრად ცხოვრობდნენ ქართველთა შრის? რამ გაღალატებინათ სამშობლოსთვის-საქართველოსთვის ამ მძიმე ჟამს?“-ოსი ეროვნების მოქალაქის სიტყვები. „...ჩვენ ის ქართულ მიწა-წყლად არ მიგვაჩნია“.- ზნაურ გასიევი, პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.(საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 11 ივნისი)

32_ „ქართველი და აფხაზი ხალხის მტრები“; „...საქართველო არ დაუშვებს თავისი ძირძველი ნაწილის -აფხაზეთის ჩამოცილებას“.- ვკითხულობთქართველი მოსახეობის წარმომადგენელთა ყრილობაზე მირებულ რეზოლუციაში. (საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 25 ივნისი)

33) „...ქართველები, აფხაზები, ჩერქეზები და ლაზები აგროთის (ნებროთის) ოთხი შვილის შთამომავლები ვართ. ამიტომ რა გასაკვირია, რომ ოთხი ძმის ნაშიერთა დრევანდელი შთამომავლები ერთი ჯიშისა და ერთი მიწის შვილები ვართ. ისიც კარგად გვესმის, რომ ზოგჯერ ოჯახში ძმებიც კი წაკინკლავდებიან ხოლმე, მაგრამ ეს მტრობაში არ უნდა გადადიოდეს. რადგან ძმათა მტრობა ჩვენი ჯიშისა და ჯილაგის კაცს არ ეკადრება. ამიტომ გვწამს, რომ აფხაზები და ქართველები თავიანთ საძმოს ტრადიციებს არ უღალატებენ!“ - თურქეთში მცხოვრები ქართველების წერილი. (საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 9 ივლისი)

34) „აფხაზეთის მთელი მრავალსაუკუნოვანი ისტორია - ნათქვამია დოკუმენტში, - წარმოადგენს აფხაზი და ქართველი ხალხების ნათესაობის და ძმობის მკაფიო დადასტურებას, ხალხებისა, რომლებიც განუყოფელნი არიან თავიანთი ეთნიკური ნორმებით, პრინციპებით, საუკუნეების სიღრმეში ფესვგადგმული ტრადიციებით, ატასწლოვანი ნათესაური კავშირით. რა თქმა უნდა, არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ უკანასკნელ ათწლეულებში წამოიჭრა უტანხმოებანი, მაგრამ მათი თითქოსდა ხალხებს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოებით ახსნა იქნებოდა დიდი შეცდომა“; „ხომ უდავო ფაქტია მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე სახელმწიფოებრიობის არსებობა, რომეიც აერთიანებდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მისი განუყოფელი ნაწილით- აფხაზეთით.ამის დადასტურებაა მრავალრიცხოვანი ფუნდამენტური შრომები, როგორც აფხაზი, ისე ქართველი ისტორიკოსებისა. მაგრამ აქაც მოიპოვებიან ცრუ-ისტორიკოსები, რომლებიც მანიპულირებენ ჩვენი წარსულით, ჩვენი კულტურით, მათს მიერვე შეკოწიწებული

პოლიტიკური ვითარებების მიხედვით. ისტორია- ჩვენი წარსულია, ჩვენი კულტურაა, რომელზეც აგებულია აწმყო, დრევანდელი რეალობა“. - ვკითხულობთ აფხაზეთის სსრ უზენაესი საბჭოს წევრების არძინბასადმი მიმართვაში (საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 23 ივლისი)

35) სტატია, რომელსაც ახლა განვიხილავ ასეთი სათაურითაა წარმოდგენილი - „ვინ თესავს ქართველებში რუსეთის სიძულვილს?“. „რუსეთის დემოკრატიული მოძრაობა რუსეთისა და ბოლშევიზმის დნაშაულად არ თვლის მე-19 საუკუნეში ქართული სამეფო-სამთავროების დაპყრობა-დამორჩილებას. დანაშაულად არ თვლის იმავე საუკუნეში თავისის ელემენტარული უფლებების დასაცავად გამოსული საქართველოს მოსახლეობის უმოწყალო ჟლეტა-აწიოკებას რუსეთის ხელისუფლების მიერ. დანაშაულად არ თვლის 1921-24 და მომდევნო წლების სისხლიანსისხლიან კაცობრიობის ისტორიაში იშვიათად გამოვლენილ სისასტიკეს და არაადამიანურობას...“; რუსული პოლიტიკის შედეგის, ისტორიული მოვლენების ქრონოლოგიურად წარმოჩენის შემდეგ მის გეგმებზე საუბრობს გიორგი მარჯანიშვილი თავის სტატიაში, ეგ გეგმები კი პირდაპირ კავშირშია აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან. „საქართველოს დემონტაჟი რუსეთის დემოკრატებს წარმოუდგენიათ ჩვენი ქვეყნიდან, უპირველეს ყოვლისა, შიდა ქართლის მთიანი ნაწილისა (ე.წ. სამხრეთ ოსეთი) და აფხაზეთის გამოყოფით“. (საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 8 ოქტომბერი)

36) „...ჩვენი თხოვნის (გულისხმობს ჩრ. ოსეთთან გაერთიანებით რუსეთის სფს რესპუბლიკის შემადგენლობაში შესვლა -ჩემი) შესრულება ნიშნავს არა მარტო ჩვენი ხალხის გადარჩენას დაღუპვისაგან, არამედ ისტორიული სამართლიანობის აღდგენასაც. ჩვენ არასდროს არ ვყოფილვართ ეგრეთ წოდებული ქართველი ეთნოსის შემადგენლობაში, სამაგიეროდ 1917 წლამდე ვიყავით რუსეთის შემადგენლობაში“; „ან წავალთ აქედან, ან გავწყდებით აქ, ჩვენს მშობლიურ მიწაზე,

სადაც ოსების წინაპრები ალანები და სარმატები ცხოვრობდნენ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ჯერ კიდევ რამდენიმე საუკუნით ადრე“. -ესაა ზნაურ გასიევის ინტერვიუ გაზეთ „სოვეტსკაია როსის“ ფურცლებზე, რომელიც გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ ამ სახელწოდებით გამოაქვეყნა - „ ზნაურ გასიევი თავის სტიქიაშია“. სათაურში ჩანს რედაქციის ირონიული დამოკიდებულება გასიევის მიმართ. (საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 29 ოქტომბერი)

37) 1991 წლის 12 ნოემბრის ნომერში „საქართველოს რესპუბლიკამ“ გამოაქვეყნა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პრესსამსახურის განცხადება, რომელიც სოხუმში გამართულ კავკასიელ მთიელ ხალხტა მესამე ყრილობას ეხმაურებოდა, სადაც 13 დელეგაციიდან მონაწილება აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის“ წარმომადგენლება მიიღეს. „... მათ ამ მხრივ შორს გაუსწრეს ბოლშევიკებს, რომლებმაც 1918 წელს, როცა მთიელთა რესპუბლიკა შეიქმნა და არსებითად აღადგინეს რუსეთის იმპერია თავის ყოფილ საზღვრებში, ვერ გაბედეს ხელეყოტ საქართველოს მიწა-წყალი“; „...არც მეტი, არც ნაკლები -ქალაქი სოხუმი , ის სოხუმი, რომელიც ოდინდელი ქართული ქალაქია. ტერიტორიაა, რომელიც უხსოვარი დროიდან ქართველი ტომებით იყო დასახლებული, და სადაც აფსუები (აფხაზები) მხოლოდ მე-20 საუკუნის დამდეგს გამოჩნდნენ“; „..დამპყრობლური ამბიციები ყოველთვის სისხლისღვრაში გადადის. ამის მაგალითები ისტორიაში მრავალია, უკანასკნელი ომი ექსტრემისტების თვითნებობაა ქართულ მიწა-წყალზე“; „... კავკასიაში არსად არ ნახულა, რომ სტუმარი (იგულისხმება ოსები და აფსუები-ჩემი) ლანძღავდეს ოჯახის თავს (იგულისხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა)“; „ამასთანავე, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ლანძღვა-გინება, არაერთგზის რომ გაისმა ყრილობაზე, მეტი რომ არ ვთქვათ, არ ეკადრება მასპინძლის ღირსებისადმი ტრადიციულ კავკასიურ პატივისცემას“; „ყოველივე ეს ნებას გვაძლევს ეჭვი შევიტანოთ კავკასიის მთიელ ხალხთა მესამე ყრილობის დელეგატების უფლებამოსილებაში, რამეთუ ჭეშმარიტი ეროვნულ-განმათავისუფლებელი

მოძრაობა რეგიონში, კერძოდ ჩეჩენ-ინგუშეთსა და დაღესტანში, მიმდინარეობს სულ სხვა გზით და არცთუ გეკაჩეპისტთა აღტაცებული აფხაზი თაყვანისმცემლებისა და მათი ოსი „ამხანაგების“ მონაწილების გარეშე. შანიბოვისა და კომპანიის გაზას კი უკან მიჰყავს ჩიხში, რომელშიც 70 წელზე მეტი ხნის წინათ მოამწყვდიეს კავკასიის ხალხები ბოლშევიკებმა. ისტორიის ჩარხს კი, როგორც ცნობილია უკუღმა ვერ შეატრიალებ“.(საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 12 ნოემბერი)

38) „ჩვენი გაზეთის რედაქცია აქამდე თავს იკავდებდა საკუთარი პოზიციის გამოხატვისაგან თვითმარქვია „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის“ უკსნონო უზენაესი საბჭოს ოდიოზური ტავმჯდომარის, ტორეზ კულუმბეგოვის, თბილისში მიმდინარე სასამართლო პროცესის მიმართ...“ - ესაა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ კომენტარი, რომლითაც იწყება სტატია, სადაც წარმოდგენილია და შემდეგ რედაქციის მიერ პასუხგაცემულია „ნეზავისიმაია გაზეტას“ ჟურნალისტის მიხეილ თავხელიძის, ამავე გაზეთში 26 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებული სტატია სახელწოდებით -„მე-16 საუკუნეში საქართველოს მიწაზე ალანები მოვიდნენ“... ასე იწყება საბრალდებო დასკვნა ტორეზ კულუმბეგოვის საქმეზე“ . „საქართველოს რესპუბლიკი“ რედაქცია თავხელიძის პუბლიკაციების ტონს ეხება, რომელიც ქართველების წინააღმდეგ გამძაფრდა. „მას (კულუმბეგოვს-ჩემი) ბრალად ედება არაერთი დანაშაული: ერთაშორისი შუღლის გაღვივება, მკვლელობის მცდელობა, საბრძოლო იარაღის შენახვა, სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტება. როგორც კულუმბეგოვის ადვოკატი ლეონიდე ხვაშნიანსკი ამბობს, საბრალდებო დასკვნიის ტექსტი შემდეგი სიტყვებიტ იწყება: „საქმის სამოძიებით დადგენილია: მე-16 საუკუნეში საქართველოს მიწაზე მოვიდნენ ალანები...“ შემდეგ მოდის ვრცელი ისტორიული ცნობა ალანთა (თანამედროვე ოსების წინაპართა) მიერ საქართველოს ტერიტორიის დაპყრობის შესახებ. „გამოდის, რომ ყოველივე ამაში ბრალი მიუძღვის ჩემს დასაცავს“, - საგონებელშია ჩავარდნილი ადვოკატი ხვაშნიანსკი“. სტატიაში მოყვანილი სხვადასხვა ფაქტების უზუსტობის

გამოვლენასთან ერთად, „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია აღნიშნავს, რომ: „საბრალდებო დასკვნაში არც ერთი სიტყვა არ არის მე-16 საუკუნეში ალანთა (ოსთა) მოსვლის შესახებ საქართველოში. დასკვნის მეორე გვერდზე წერია: „თანდათანობით მე-17-18 საუკუნეებიდან ოსი ხალხის ნაწილი დამაგრდა ქართული სახელმწიფოს შიდა ქართლის ჩრდილოეთ მიმდებარე ტერიტორიაზე“. სტატიაში მარტო ტექსტი კი არ არის დამახინჯებული, არამედ ერთი საუკუნეც კია მოპარული. ტექსტისა და სტატიის სატაურის ამ სიყალბეს შემდეგ მოსდევს მტკიცება, თითქოს საბრალდებო აქტი შეიცავს ფართო ისტორიულ ცნობას იმის შესახებ, თუ როგორ დაიპყრეს ალანებმა (ოსებმა) საქართველოს ტერიტორია. არაფერი ამის მსგავსი ტექსტში არ არის და უკბილო ოხუნჯობა ადვოკატისა, ეს რა საწყალი კულუმბეგოვის ბრალიაო, მას მახვილისტყვაობადაც ვერ ჩაეთვლება, ხოლო ამ ტყუილის ტირაჟირება ბ-ნი მ თავხელიძის არაკეთილსინდისიერების კიდევ ერთი დადასტურებაა“. - ვკითხულობთ რედაქციის კომენტარში (საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 12 ნოემბერი).

39) „შიდა ქართლში კონფლიქტი იმის რეალურ საშუალებას გვაძლევს, დავასკვნათ, რომ ეგრეთ წოდებული ოსეთის ავტონომიური ოლქის სეპარატისტული ძალების ანტიქართული მოძრაობა ახალი პოლიტიკური პროცესი არ არის - იგი სათავეს საბჭოური პერიოდიდან ირებს და წლების მანძილზე შენიღბული იყო“; „ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე ე.წ. ოსეთის ავტონომიურ ოლქში ხელმძღვანელ თანამდებობებზე დაწინაურებული ოსი ეროვნების მუშაკების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეროვნული თვითშეგნების განდიდების ნაციონალისტურ-შოვინისტურმა გრძნობამ წინა პლანზე წამოიწია და თავიანთი მოღვაწეობის მთავარ მიზნად ოსური კადრების დაწინაურება - პრივილეგირება და ქართველთა სრული დისკრიმინაცია დაისახეს“; „...საქართველოს მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ არ იცის ფაქტები უძველეს საუკუნეებში შიდა ქართლის ტერიტორიაზე ოსთა წინაპარი ალან-სკვითების სახლობისა და მათი

სახელმწიფოს არსებობისა. ამას ადასტურებს არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური, ენათმეცნიერული, ისტორიული წყაროები. ოსმა სეპარატისტებმა, რადგან ისტორიული არგუმენტები ვერ გამოძებნეს, შიდა ქართლის მიტაცების სხვა თეორია წამოაყენეს - "მიწა ეკუთვნის იმას, ვინც მასზე ცხოვრობსო"; „...ასეთ ექსტრემალურ სიტუაციაში (იგულისხმება დაძაბული ვითარება ცხინვალში-ჩემი) ბუნებრივად იბადება კითხვა :ქართველთა და ოსთა დაპირისპირება ვის აძლევს ხელს? ამ პრობლემას ობიექტურად და გონივრულად უნდა შეხედოს ოსურმა საზოგადოებამ. ოს ექსტრემისტებს ისევ ბოროტების იმპერიის (რუსეთი-ჩემი) იმედი აქვთ, მაგრამ ისტორიის ჩარხს უკან ვერავინ დააბრუნებს, მალე იმპერია დაიშლება და ყველა ხალხი მიიღებს ნანატრ თავისუფლებას".- წერია „საქართველოს რესპუბლიკის" კორესპოდენტის გივი ბორცვაძის სტატიაში. (საქართველოს რესპუბლიკა, 1991, ნოემბერი)

სარედაქციო პოლიტიკის განხილვისას მნიშვნელოვანია ავღნიშნო თემის დასახელებები/რუბრიკები, რომელთა ქვეშაც იკითხება ჩემს მიერ მოყვანილი სტატიები, რომლებიც ეხებოდა აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს. 1990 წლის დეკემბრიდან 1991 წლის ნოემბრის ჩათვლით იმ სტატიების უმრავლესობა, რომელიც ეხებოდა მხოლოდ ე.წ. სამხრეთ ოსეთს, აფხაზეთს და მათ ირგვლივ მიმდინარე პროცესებს იბეჭდებოდა რუბრიკის - „შიდა ქართლში" და რუბრიკის „საკუთარ სახლში" ქვეშ. ასევე იყო „წერილი სამაჩაბლოდან", რუბრიკა - „მისმინეთ", „წერილი რედაქციას", „ინტერვიუ", „რეპლიკა", „თვალსაზრისი" და ა.შ. სტატიები, რომლებიც უცხოეთის დამოკიდებულებას, ან სოლიდარობას, შეფასებას გამოხატავდა იბეჭდებოდა რუბრიკაში „საზღვარგარეთი". ხოლო ისეთი სტატიები, რომლებიც დაწერილია უშუალოდ ისტორიული ფაქტებზე დაყრდნობით იბეჭდებოდა ასეთ რუბრიკაში: „ისტორიიდან", „ოდითგან", „ისტორიისთვის" და ა.შ.

სარედაქციო პოლიტიკის კვალდაკვალ 1990-1991 წლების შემდგომ 2019 წლის მედიური ტექსტები რა თქმა უნდა განსხვავებულია, არა მარტო საკითხის

გადმოცემის სტილის და მისდამი დამოკიდებულებით, არამედ შინაარსითაც. განსხვავებულ რეალობაში გაღვიძებას ჰგავს, რადგან ჯერ კიდევ 30 წლის წინ სეპარატისტულად განწყობილი ორი რეგიონი- აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი რუსეთის მიერ ოკუპირებულია და 2008 წლის აგვისტოს ომიც გამოვლილი. ესაა ომი, რომელმაც ამ კონფლიქტის სხვა მნიშვნელოვანი ასპექტები გადაფარა, ამიტომ მნიშვნელოვნად მიმაჩნია გავარკვიოთ, რამდენად შორს მიდის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მედიური ტექსტები საკითხის გაშუქებისას, კერძოდ რომელ ისტორიულ პერიოდ ასახავს, უკვე ოკუპირებულ ტერიტორიებზე შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებამდე, 90-იან წლებს, როცა დაძაბულობამ პიკს მიაღწია და მოჰყვა შეიარაღებული კონფლიქტი, თუ 2008 წლის აგვისტოს ომის და მის შემდგომ პერიოდს. ასევე მნიშვნელოვანია გაზეთის სარედაქციო პოლიტიკა თემის ირგვლივ. პირველ რიგში კი წარმოვადგენ რიცხვობრივ მაჩვენებლებს საკითხის გაშუქებისას.

29მედიური ნიმუშიდან 20 -ში (68.97%) იკითხება მიმართება წარსულთან. ამათგან ზოგ სტატიაში ერთდროულად სხვადასხვა ისტორიულ პერიოდზეა საუბარი, ზოგ მათგანში ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის ისტორიული კავშირი, ურთიერთობაა შეფასებული, თუმცა კონკრეტული ისტორიული პერიოდი ხილული არაა. ხოლო 9 (31.1%) სტატია წარმადგენს ისეთი ტიპის საინფორმაციო ტექსტს, რომელიც ისტორიულ სიღრმეებში არ მიდის.

2019 წლის იანვრიდან-მაისის ჩათვლით დროით ჩარჩოში იმ მედიური ნიმუშების მიხედვით, რომლებშიც წარსულთან მიმართება ფიქსირდება, ისტორიულად ძმური ურთიერთობა წარმოჩენილია მხოლოდ 2 (18.19%) მედიურ ნიმუშში, ისტორიულად მტრული ურთიერთობა მხოლოდ 1 (9.01%) მედიურ ნიმუშში და რაც შეეხება სხვა ძალის მიერ წაქეზებულ ურთიერთობას 4 (36.37%) სტატიიდან ვკითხულობთ. 2019 წლის 5 თვიან დროით ჩარჩოში ხშირადაა ნახსენები „რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები - აფხაზეთი და ე.ს. სამხრეთ ოსეთი“, თუმცა ისტორიულ სიღრმეებში, რასაც ჩემი თემის საკვლევი საგანი წარმოადგენს, განხილული არაა.

რაც შეეხება მედიაში ხილულ ისტორიულ პერიოდს:

ა) მე-19 საუკუნის ჩათვლით სხვადასხვა ისტორიული პერიოდი ხილულია 4 (36.37%) მედიურ ნიმუშში;

ბ)მე-20 საუკუნის 20-იანი წლები/გასაბჭოება 3 (27.28%) მედიურ ნიმუშში;

გ) საბჭოთა კავშირი განიხილება 5 (45.46%) მედიურ ნიმუშში;

დ) 1990-იანი წლები (ამ შემთხვევაში ესეც იგულისხმება ისტორიულ პერიოდად) 7 (63.64%) სტატიაში.

აქვე ავღნიშნავ იმასაც, რომ 2019 წლის პირველი 5 თვის მონაცემებით დაახლოებით 6 სტატიაში 2008 წლის აგვისტოს ომზეა საუბარი. მათგან 4 შემთხვევაში უფრო ძველ ისტორიულ პერიოდთან ერთადაა ნახსენები.

ნიშანდობლივი სიტყვები და მიმართებები:

სამაჩაბლო, შიდა ქართლი, ცხინვალი, სეპარატისტული რეგიონი - სამხრეთ ოსეთი; სამხრეთ ოსეთი (IL CAFFE GEOPOLITICO" -იტალია და ასევეა მოხსენიებული აზებაიჯანის „novoe vremia"-ში), სამხრეთ ოსეთი -რუსეთის პროვინცია (რუსული ტელეკომპანია „სიბიესი"); აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი - ოკუპირებული ტერიტორიები; აფხაზი ბოევიკი; ცხინვალის ოკუპირებული რეგიონის დე-ფაქტო ხელისუფლება.

1) პირველი სტატია, რომელსაც ჩემი კვლევის მეორე დრიოთ ჩარჩოში განვიხილავ (2019 წელი იანვარი-მაისი) ამგავრი სათაურისაა -„გაბუტვა და ტირილი არ ეგების". სტატიაში საუბარია რუსეთის ინტერესსა თუ წარმოებულ პოლიტიკას საქართველოსთან მიმართებაში, რაც წლების შემდეგაც არ შეცვლილა და ამის მიხედვით სტატიის ავტორი რამაზ სურმანიძე არსებული კონფლიქტის მოგვარების და ოკუპირებული ტერიტორიების საკითხს განიხილავს. სტატიაში მიმარტება წარსულთან ფიქსირდება და ისტორიული ურთიერთობაც სხვა ძალის (რუსეთის) მიერ პროვოცირებულადაა წარმოჩენილი. რაც შეეხება მედიაში ხილულ ისტორიულ პერიოდს, შორეული წარსულის მოკლე მიმოხილვის შემდეგ 2008 წლის აგვისტოს

ომს ეხება. „ გეოგრაფიულ რუკაზე საქართველოს უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ადგილი უკავია და სწორედ ამიტომ ბევრი მეზობელი ქვეყანა წარსულშიც და ახლაც ცდილობს მის ხელში ჩაგდებას. ამ მხრივ გამორჩეულია რუსეთი, რომელსაც ჩვენი ქვეყნის დაპყრობის სურვილი ჯერ კიდევ ჩრდილო კავკასიის ხალხების ანექსიის (3-4 საუკუნის წინათ) შემდეგ გაუჩნდა, რაც მოგვიანებით სისრულეში მოიყვანა კიდეც. ამ ხნის განმავლობაში რუსეთმა რა დიდი მორალური, ეკონომიკური და სულიერი ზარალი მიაყენა დაპყრობილ ქვეყანას, ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს. შევეხები მხოლოდ ჩვენს დროში, სულ რაღაც 10 წლის წინათ განხორციელებულ ოკუპაციას, რომელიც საქართველოს ყველა მოქალაქეს, ბუნებრივია, პირველ რიგში, ქართველს, გულზე მალაჯუნასავით აწევს და მოსვენებას უკარგავს“; „...ეს „ზაგატოვკა“ (პუტინის მიერ შეფასებული აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სიტუაცია და საქართველოსთან კონფლიქტის საკითხი-ჩემი) არც გუშინ და არც 2008 წლის აგვისტოში არ დაწყებულა. ნაღმი ჩვენს მიწაში ჩამარხეს ჯერ კიდევ მაშინ, როცა შეიქმნა აფხაზეთისა და ოსეთის ავტონომიები...“; „ნიკიტა ხრუშჩოვმა, ქათველთმოძულემ, თავისი კარიერის ბოლო წლებში, ქართველების და აფხაზების შუა აზიაში გადასახლება გადაწყვიტა...“- (საქართველოს რესპუბლიკა, 2019, 29 იანვარი).

2) „ოთარ ჩხეიძე - სავიზიტო ბარათი დასავლეთთან“- ამ სახელწოდებითაა შემდეგი სტატია, რომელზეც ყურადღება შევაჩერე. სტატიაში როსტომ ჩხეიძე ოთარ ჩხეიძის მოღვაწეობაზე ყვება და მის შეხედულებებზე: „მწერალი მომდევნო რომანებში - „თეთრი დათვი“ იქნებოდა, „ბერმუდის სამკუთხედი“ თუ სხვანი - კვლავ განგაშის ზარს არისხებდა, რომ რუსეთი ადვილად არ ჩამოგვეხსნებოდა, არ გვაკმარებდა აფხაზეთის მხარისა და შიდ ქართლის მოზრდილი ტერიტორიის მიტაცებას და მოსალოდნელი იყო კიდევ ართი შემოსევა. ეს მწერალს გადამეტებულ სიფრთხილედ ჩამოართვეს. არადა, 2008 წლის აგვისტოში ეს წინათგრძნობა ისევე ახდა, როგორც ოთარ ჩხეიძის არაერთი გაფრთხილება და წინასწარჭვრეტა“ (საქართველოს

რესპუბლიკა, 2019, 5 თებერვალი)

3) „საქართველოს ტერიტორიაზე ისტორიულად ბევრჯერ მომხდარა სპარსელების, თურქებისა და არაბების შეჭრა სამხრეთიდან, მონღოლებისა და რუსებისა - ჩრდილოეთიდან. მოსკოვი საქართველოს თითქმის ორი საუკუნე - მე-19-20 ასწლეულებში მართავდა. ხოლო დამოუკიდებლობის ჟამს, 2008 წლის აგვისტოში, რუსეთი საქართველოში ხანმოკლე დროით შეიჭრა. ამჟამად მოსკოვი კვლავ აკონტროლებს აფხაზეთს და კიდევ ერთ სეპარატისტულ რეგიონს - სამხრეთ ოსეთს“.- ვკითხულობთ სალომე ზურაბიშვილის გამოსვლაში, 2019 წლის 19 თებერვლის „საქართველოს რესპუბლიკის“ ნომერში.

4) „…საქართველოს ტერიტორიის ხელყოფა-მიტაცების თემა ძველი ტკივილია…“; „ვინ აღარ ეპოტინებოდა და დღესაც ეპოტინება ჩვენს მიწა-წყალს, არაბები, თურქები, სპარსელები, რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, ოსები, მონღოლები, დაღესტნელები და რა ვიცი, ვინ არ მოისურვა ღვთივკურთხეული მიწა-წყლის დასაკუთრება, რაშიც ჩვენი ერის მძიმე წარსულტან ერთად ქართველთა გულარხეინობის და მიმნდობი ხასიათის ბრალიცაა“; „...თითქმის ყველა საუკუნეში ჩვენს სამშობლოს მისხალ-მისხალ აკლდება ტერიტორიები, აგერ 21-ე საუკუნეშიც ტერიტორიის 20% კიდევ დაკარგეთ...“; „ჩვენი გულგრილობით და ზედმეტი ტოლერანტობით ქვეყანა საუკუნეების მანძილზე ივსებოდა სხვა ერის წარმომადგენლებით, რომლებიც თვალთმაქცურად, ვითომ მოყვრულად თავის გადასარჩენად მოდიოდნენ და მერე როგორც კი მოძლიერდებოდნენ, აქეთ გვედავებოდნენ ტერიტორიებს, ეკლესია-მონასტებს, ენას, სარწმუნოებას, მოყვრულად მოსული მტრად იქცეოდა და ლამობდა ჩვენს განდევნა-შევიწროებას. ხშირად გადამთიელები კიდეც აღწევდნენ და დღესაც არწევენ საწადელს!“; „საქართველოს ტერიტორიის მიტაცება რომ ოცნებად აქვს გადაქცეული ახალშექმნილ ე.წ. „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ მეთაურებს კარგად ვხედავთ.

რუსეთის დახმარებით აგერ უკვე 10 წელია, თანდათანობით მოცოცავენ ქართული სოფლების ხელში ჩასაგდებად“; „პარალელურად საქართველოს იმ კუთხეებსაც ეპოტინებიან, სადაც ოსმა ერთხელ მაინც თუ დადგა ფეხი“; „ვიცი, ოსებსაც ისტორიულად ქართველებივით მეტად მძიმე წარსული აქვთ. მონღოლებისგან შევიწროებული მომთაბარე ოსები გადარჩენისათვის იბრძოდნენ და სხვა ადგილებში გადმოდიოდნენ საცხოვრებლად, ასე ბრძოლით დაიპყრეს ქართველთა ტერიტორია - დვალეთი, შემდეგ ყაზბეგის რაიონში თრუსოს ხეობა, ლიახვისა და თერგის სათავეები თვისეს, მე-16-17 საუკუნეებში თანდათანობით ჩამოივაკეს და ჯავაში დასახლდნენ, მე-20 საუკუნის დასაწყისში ცხინვალში ორი თუ სამი ოსური ოჯახი ცხოვრობდა. მერე აქაც გამრავლდნენ. კარგად ვიცით ოსების ბორჯომის ხეობაში დასახლების ისტორიაც. ისინი რომანოვებმა ჩამოასახლეს. გუჯარეთის ხეობაში ცხრა სოფელი ოსებიტ იყო დასახლებული, უფრო ადრეც მე-16-17 საუკუნეებში გუჯარეთის ხეობა საციციანოს საკუთრება იყო და იქ მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ, ასე იყო დიდ და პატარა მიტარბშიც და ბაკურიანშიც. რაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოხდა, ოსებსა და ქართველებს შორის, ისიც ცნობილია, თუ ვინ აამღვრია ჩვენს შორის წყალი და იმ ავბედით ისტორიაზე არ ვისაუბრებ“; „კარგად ვიცი რიგითი ოსების ბუნება, ისინი გულკეთილი , მეგობრული ხალხი. ამ ადამიანებს ჭკუა-გონება „დამოუკიდებლობის“ მოსურნე „თბილი სკამების“ მოყვარულმა ე.წ. „პატრიოტული“ სულისკვეთებით აღზრდილმა ვაი-პოლიტიკოსებმა აუმღვრიეს და რუსების კალტას ამოფარებულებმა საწადელსაც მიაღწიეს“. - სტატიაში ასევე ვკითხულობთ, რომ როგორც ოსმა მეცნიერებმა დაადგინეს 100 ქართული გვარის წარმომადგენლები ოსები ყოფილან და ავტორის გამოხმაურებაც, პროტესტიც და შესაბამისად ისტორიის მიმოხილვაც სწორედ ამან გამოიწვია. (საქართველოს რესპუბლიკა, 2019, 5 მარტი)

5) „რატომ არის საქართველოს ხელისუფლება ვალდებული, მოახდინოს მტრული ტერიტორიული წარმონაქმნის სუბსიდირება?“; „...აფხაზეი არის საქართველოს

ნაწილი“...; „საქართველო თავის მოსახლეობას არ ტოვებს კრიტიკულ სიტუაციაში ელექტროენერგიის გარეშე“; „სამწუხაროდ, ძალიან ცოტა ბმები დაგვრჩა ჩვენ აფხაზეთთან“...- ესაა შერიგებისა და თანასწორობის საკითხებში საქართველოს ყოფილი მინისტრის - პაატა ზაქარეიშვილის პასუხი დასმულ კითხვაზე. (საქართველოს რესპუბლიკა, 2019, 12 მარტი)

6) „...ის ბრძანება იყო მათი, ვისაც გულით ეწადა აფხაზთა და ქართველთა შეურიგებლობა“ (საუბარია შარტავას მკვლელობაზე-ჩემი); „ვეშაპივით დიდ და სტომაქამოუვსებელ იმპერიას როგორ მოვერეოდით!“ (საუბარია რუსეთზე-ჩემი); „საქართველო კი სწორედ რუსეთის მეშვეობით ფიქრობდა და ცდილობდა ამ კრიზისიდან გამოსვლას და პრობლემის მოგვარებას“; „... მარცხი (აფხაზეთში განვითარებული მოვლენები -ჩემი), რომლის მიზეზი არა მხოლოდ რუსეთის ცბიერი პოლიტიკა იყო, არამედ ქართველთა გულუბრყვილობაცა და რუსეთისადმი სარწმუნოებრივ-ქრისტიანულ ნიადაგზე წარმოშობილი ნდობა..“; „...რომელსაც შედეგად აფხაზეთში რუსული ჩექმა მოჰყვა“ (საუბარია სოჭის მოლაპარაკებების საკითხზე); „მისი (ჟიული შარტავას-ჩემი) დამოკიდებულება აფხაზებთან - (მიუხედავად საომარი მოქმედებებისა)იყო მხოლოდ კეთილისმსურველი. ის ყველანაირად ცდილობდა აფხაზებთან კავშირის დამყარებას, მაგრამ ეს გარკვეულ ძალებს ხელს არ აძლევდა“; „ადგილობრივ საზოგადოებასთან ურთიერთობაში აშკარად ხედავდა, რომ იყო რესურსები, მაგრამ საბედისწეროდ გამოუყენებელი“ (აფხაზეთში ვიტარების დასტაბილურების რესურსები იგულისხმება -ჩემი) - ეს სტატია ჟიული შარტავას ეძღვნებოდა და რომელშიც განხილულია მისი დამოკიდებულება და როლი აფხაზეთში 90-იან წლებში განვითარებულ მოვლენებზე. (საქართველოს რესპუბლიკა, 2019, 9 აპრილი)

7) „ცხოვრება ომის ნარჩენებით“ ასეთი სახელწოდებითაა სტატია, რომელიც უშუალოდ 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგებზე მოგვითხრობს. (საქართველოს

რესპუბლიკა, 2019, 9 აპრილი)

8)„თბილისს კი ყველაზე მეტად თავისი ტერიტორიების - აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გაკონტროლების პრობლემა აწუხებს“; „2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთის გენშტაბმა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სამხედრო ბაზები განალაგა“- საუბარია აზერბაიჯანულ „novoe vremia“-ში. (საქართველოს რესპუბლიკა, 2019, 16 აპრილი).

9) „მოვლენები, რომლებმაც 1990-იანი წლებიდან მოყოლებული ჩვენმა ხალხმა გადაიტანა, სოფლების მოსახლეობისგან დაცლას უწყობდა ხელს...“ - ნათქვამია სტატიაში -„ ახალგორი რაიონში სკოლებს აუქმებენ!“ (საქართველოს რესპუბლიკა, 2019, 28 მაისი) .

რაც შეეხება რუბრიკებს, რომლის ქვეშაც იწერებოდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე - აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთზე სტატიები კონკრეტული სახელწოდებების დასახელება ძნელია. 2019 წლის პირველი 5 თვის მონაცემებით სხვადასხვა თემის ქვეშაა წარმოდგენილი. მაგ: „ეკონომიკა/ინფორმაცია“, „შინ და გარეთ“, „სხვადასხვა“, „მხოლოდ მთავარზე“, „მწერალი - სიმართლის პირისპირ“, „ამერ-იმერი“ და ა.შ..

დასკვნა

ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით შემიძლია დავასკვნა, რომ 1990-1991 წლების პუბლიკაციების მაგალითზე გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკი“ კონფლიქტის მონაწილე მხარეების, ძირითადად ოსების , აფხაზების და რუსეთის მისამართით აგზავნიდა ისეთი შინაარსის შეტყოინებებს, რომლის საფუძველზეც ქართველის,

აფხაზისა და ოსის ერთადერთი მტერი რუსეთის იმპერია იყო, რომლის მკაფიო სურვილს საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში დარჩენა წარმოადგენდა და მიზნის მისაღწევად ქვეყანაში ეთნიკურ ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტის პროვოცირებას ცდილობდა, თავის ჩართულობას კი შექმილ სიტუაციაში ეთნიკური უმცირესობების დაცვის საბაბით ამართლებდა. ე.წ. სამხრეთ ოსეთის შემთხვევაში საბჭოთა კავშირის არმიასთან ერთად ოსი ექსტრემისტები მოქმედებდნენ. ეს უკანასკნელნი, როგორც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ პუბლიკაციებში იკითხება „მტრადქცეული მოყვარენი“, „ქართულ მიწას დახამებული, გათავხედებული სტუმართა ურდოები“, „უმადური ხიზნები“ და ა.შ. არიან მოხსენიებულნი, რომელთაც გადაუწყვეტიათ ქართული ისტორიული მიწა-წყალი - შიდა ქართლი მტერს ჩააბარონ. პუბლიკაციებში უმეტესად ნეგატიურ ჭრილში სწორედ ოსი ექსტრემისტები არიან წარმოჩენილი, ხოლო დანარჩენი ოსები - „ მშვიდობიან მოსახლეობას“ წარმოადგენენ. რაც შეეხება ქართველისა და ოსის ისტორიულ ურთიერთობას ძირითადად „მოძმე“ ერების კონტექსტში განიხილება. თუმცა არის პუბლიკაციები, რომლებშიც ისინი, როგორც ისტორიულად მოღალატეობრივი, დამპყრობლური და ავაზაკობისკენ მიდრეკილი ერის ფენომენად არიან წარმოჩენილნი. „საქართველოს რესპუბლიკაში“ რეპრეზენტირებული ტექსტები ხშირად ისტორიულ სიღრმეებში მიდის და ოსების საქართველოში ჩამოსახლების პერიოდს ასახავს, თუ როგორო კეთილგანწყობით მიიღო თავად „მიწის სიმწირით დაჩაგრულმა“ ქვეყანამ „უცხო ტომელები“ საკუთარ ქვეყანაში და წლების შემდეგ „მტრადქცეული მოყვარენი“ დაეპატრონენ ქართულ მიწას და ცალკე გამოყოფას ლამობენ. ჩემი აზრით, სწორედ ასე ცდილობს გაზეთის რედაქცია სეპარატისტულად განწყობილ ოსებში სინდისის ქენჯნის გამოწვევას.

რაც შეეხება აფხაზეთს, ის ავტომატურად განიხილება, როგორც ქართული მიწა, რომელზეც საუკუნეების განმავლობაში ერთად ცხოვრობდნენ და საერთო კულტურას ქმნიდნენ აფხაზები და ქართველები. ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ 1990-1991 წლის გამოშვების „საქართველოს რესპუბლიკის“

რედაქცია ხშირ შემთხვევში სწორედ ისტორიულ სიღრმეებში მიდის და ცდილობს აფხაზებს , ქართველსა და აფხაზს შორის საუკუნეების მანძილზე არსებული ურთიერთპატივისცემა და საერთო ტრადიციები, ერთმორწმუნეობა შეახსენოს, რომლის მიზანს საერთო სახელმწიფოს- საქართველოს წინაშე მათი პაუხისმგებლობის გაღვიძება წარმოადგენს. ქართველისა და აფხაზის საერთო მტერი კი სწორედ რუსეთია, რომელსაც სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში, მხოლოდ სახელი ეცვლება და არა პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში.

2019 წლის ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ აქ უკვე ერთადერთი დაპირისპირებული მხარე საქართველოსთან რუსეთია. აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი კი რუსეთის მიერაა ოკუპირებული. მეტად შესამჩნევი 2008 წლის აგვისტოს ომის კვალია, რადგან შედარებით ახლო წარსულში მოხდა და ამ ომში საქართველო არა აფხაზებსა და ოსებს, არამედ რუსეთს ებრძოდა. თემის ირგვლივ ისტორიულ სიღრმეებში წასული პუბლიკაციები ნაკლებია, ძირითადად ახალი ამბების რეპრეზენტაცია ხდება, რომელშიც აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი ოკუპირებულ ტერიტორიებადაა მოხსენიებული. ისტორიული დისკურსი წარმოჩინდება მხოლოდ ,მაშინ როცა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაა განხილული, ან რომელიმე ქართველ მოღვაწეს იხსენიებენ. პირველი საკვლევი პერიოდისგან განსხვავებით ქვეყნის პირველი პირები საკითხის არც ღრმა ისტორიულ სათავეებზე არ საუბრობენ და არც ქართულ, აფხაზურ და ოსურ ურთიერთობებზე. ერთადერთი სტატია, რომელიც აფხაზებთნ კავშირს გულისხმობს, ქართული მხარის მიერ აფხაზებისთვის ელექტროენერგიის საფასურის გადახდაზე გვიყვება, რომელშიც შერიგებისა და თანასწორობის საკითხებში საქართველოს ყოფილი მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი აფხაზებთან დარჩენილ ერთადერთ ბმად საქართველოს მიერ მათი ელექტროენერგიით მომარაგებას ასახელებს.

ბიბლიოგრაფია

1. „ ეროვნული იდენტობის რეპრეზენტაცია 1990-1991 წლების ქართულ ბეჭდურ მედიაში“ (2010 წელი). ხათუნა მაისაშვილი, ჟურნალისტი, მასობრივ კომუნიკაციებში აკადემიური დოქტორი, საქართველოში არსებული კონფლიქტების მკვლევრი
2. „PAX GEORGIANA” (2015) - ავტ: ხათუნა მაისაშვილი, მაია გოგოლაძე, ლია ტოკლიკიშვილი.
3. The Five-Day War: Managing Moscow After the Georgia Crisis (Source: Foreign Affairs, Vol. 87, No. 6 (November/December 2008), pp. 2-11) - ავტ: ჩარლზ კინგი
4. Abkhazia and South Ossetia: Collision of Georgian and Russian Interests (2006) ავტ: ტრეისი გერმანი
5. In Search of Lost Genocide: Historical Policy and International Politics in Post-1989 Eastern Europe Evgeny Finkel Published online: 08 Jan 2010.
6. The fatal flaw: the media and the Russian invasion of Georgia (2009) - მარგარიტა ახვლედიანის პუბლიკაცია